გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 37
(11 799)

11 – 13 მაისი, 2004 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# ქართული ფეხბურთი არგენტინული აქცენტით


როდრიგესი


მენოტი

25 თებერვალს, მსოფლიოში სახელგანთქმულმა მწვრთნელმა, სესარ ლუის მენოტიმ მისალოცი წერილი გამოუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს უმაღლეს პოსტზე არჩევასთან დაკავშირებით, სადაც ღრმა პატივისცემაა გამოხატული მისდამი. იმავდროულად, მენოტიმ, რეკომენდაცია გაუწია თავის უახლოეს მეგობარს, არგენტინელ მწვრთნელს ვისენტე კაიეტანო როდრიგესს, საქართველოში მოწვევის შესახებ, რომელსაც უდიდესი წვლილი შეუძლია შეიტანოს ქართული ფეხბურთის განვითარებაში. როდრიგესი, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გარდა საკლუბო გუნდებისა, მენოტთან ერთად 8 წელი არგენტინის და 3 წელი მექსიკის ეროვნულ ნაკრებ გუნდებში მოღვაწეობდა. ეს წერილი წლეულს, „ლელოს“ მე-16 ნომერში დაიბეჭდა...

მას შემდეგ არც თუ ისე დიდი დრო გავიდა. შედეგებით დავინტერესდით და დავუკავშირდით საქართველოს კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარეს ნიკო პატარქალიშვილს, რომელიც ამავდროულად ვისენტე კაიეტანო როდრიგესის წარმომადგენელია საქართველოში.



● *ბატონო ნიკო, გთხოვთ გვიპასუხოთ, ისევ განაგრძობთ მუშაობას ვისენტე კაიეტანო როდრიგესის საქართველოში მოწვევასთან დაკავშირებით?*

— 5 აპრილს, ოფიციალურად მივმართე საქართველოს პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ მიხეილ სააკაშვილს არგენტინელი კვალიფიციური მწვრთნელის ვისენტე კაიეტანო როდრიგესის მოწვევასთან დაკავშირებით, რომელიც მზადყოფნას გამო

*იხ. მე-4 გვ.*

## ბატონ ოთარ ქორქიას!



ბატონო ოთარ,

ქართულ სპორტს ამშვენებს გამორჩეული სახელები და მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი ბრძანდებით თქვენ, ქართული კალათბურთის წარმატებების მესაძირკვლე და დღეს უკვე მისი პატრიარქი. თქვენ იყავით საქართველოდან პირველი, რომელმაც სამგზის მოიპოვეთ ევროპის ჩემპიონობა და ერთხელ გახდით პრიზიორი, სამი წელიწადი კაპიტნობდით სსრ კავშირის ნაკრებს, 1952 წელს თანაგუნდელ თანამემამულე ნოდარ ჯორჯიკიასთან ერთად დაიმსახურეთ ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი. აღარაფერს ვამბობთ სხვა წარმატებებზე.

თქვენ უდიდესი პირადი წვლილი მიგიძღვით საქართველოში კალათბურთის პოპულარობაში, თქვენს მაგალითზე აღიზარდნენ თაობები, მათ შორის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები. თქვენმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ასეულობით მოზარდ კალათბურთელს გაუხსნა გზა დიდ სპორტში. ეს გზა მარადიულია.

ვამაყობთ და მუდამ ვიამაყებთ თქვენით. გილოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ნუ მოგიშალოთ უფალმა.

ულრმესი პატივისცემით,

**ირაკლი მეძმარიაშვილი,**
**სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე.**

## მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ქართული კალათბურთის უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, ღვაწლმოსილ სპორტულ მუშაკს და ბრწყინვალე პიროვნებას ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს **ოთარ ქორქიას.**

## „მსოფლიო ტიტანი“ ქართველია

სუმოს ქართველი ოსტატები ამჟამად აშშ-ის ლოს-ანჯელესში იმყოფებიან. წესით და რიგით, ჩვენი გუნდი ბუდაპეშტის გავლით ახლა შინ უნდა ბრუნდებოდეს, მაგრამ ასე არ მოხდა. ამერიკიდან ნაკრები ევროპის პირველობაზე რუმინეთში უსახსრობის გამო ვერ ჩავიდა. ამერიკელებმა, რომლებიც გაოცებულები დარჩნენ ქართველი სუმისტების მომზადების მაღალი დონით, ჩვენებს ლოს-ანჯელესში რამდენიმე ხნით დარჩენა და ერთობლივ წვრთნაში მონაწილეობა სთხოვეს. ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ლოს-ანჯელესმა ამ დღეებში უმასპინძლა დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომელსაც „მსოფლიო ტიტანები“ ჰქვია. ქართველებმა, როგორც ვთქვით, დიდი მოწონება დაიმსახურეს, მით უფრო, რომ „მსოფლიო ტიტანი“ გახდა აბსოლუტურ წონაში გამარჯვებული **ჯონდო დაბრუნდაშვილი.**

დავუბრუნდეთ ბუდაპეშტს. ევროპის ჩემპიონატზე უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ჩაუსვლელებს უმალვე მოჰყვა სანქციები. საქართველოს ფედერაცია დაჯარიმდა 1800 დოლარით და გაუქმდა ყველა ლიცენზია, რომელიც ქართველ სუმისტებს ჰქონდათ მოპოვებული და მათ უფლებას აძლევდა ესპარეზათ 2005 წლის მსოფლიო თამაშებში.

ბუდაპეშტშივე ჩატარდა საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო კონგრესი, სადაც ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე იყო მიწვეული. მისი დაფინანსება საერთაშორისო ფედერაციამ იკისრა, გამოაგზავნეს კიდეც ფული მაგრამ... „უარი ვთქვი წასვლაზე, არანაირი მორალური უფლება არ მქონდა მე ჩავსულიყავი ბუდაპეშტში, მაშინ, როცა ბიჭებს სწორედ უსახსრობის გამო არ მიეცათ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება“ — თქვა თენგიზ რუხაძემ. ამ უარსაც უარყოფითი რეაქცია გამოუწვევია საერთაშორისო ფედერაციაში. მისივე განმარტებით, სუმოს ქართველი ოსტატები შესაძლებელია აშშ-ში ცალკეულ კლუბებში გადანაწილდნენი და სხვადასხვა ტურნირებში ასე იასპარეზონ.

**ც. ბაძრაძე**

## უკვე ფინალურ ეტაპზე



როგორც „ლელოს“ წინა ნომერში ვწერდით, საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებმა წარმატებით აილო სტარტი თანატოლთა შორის ევროპის შესარჩევ ტურნირში. ახლა ვამბობთ: ქართველმა ყმაწვილებმა ასევე წარმატებით გაასრულეს მთელი ტურნირი და რჩეულთა შორის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

წარმატების ქრონოლოგია კი ასეთია: სასტარტო მატჩში სლოვენიელებთან 8:4, გამარჯვების შემდეგ ჩვენები შეხვდნენ უკრაინელთა ასევე ძლიერ გუნდს და მათაც სძლიეს 14:8 დარჩენილი ორი შეხვედრიდან საკმარისი იყო თუნდაც ერთი მატჩის მოგება და ფინალური ეტაპის საგზურიც განაღდებული იქნებოდა. მაგრამ ჩვენმა საამაყო გუნდმა სოსო მაისურაძის ხელმძღვანელობით მაქსიმუმს მიაღწია — ჯერ ტურნირის მასპინძლებს ბულგარელებს სძლიეს 5:4. მაგრამ ეს იყო მართლაც „ძლევაი საკვირველი“. სლავები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ბოლო შანსი გამოეყენებინათ, მაგრამ ჩვენი ბიჭები არ შეუშინდნენ არანაირ ზეწოლას, „თავისი თამაში“ ითამაშეს და ღირსეულად დაიმკვიდრეს მართლაც უძლიერესის სახელი. ამდენად, ბოლო მატჩის შედეგს საქართველოს ნაკრებისთვის აღარანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, თუმცა, კვიპროსელებთან გუნდმა მაინც ჩვეულ სტილში ითამაშა და მატჩი 9:3 მოიგო.

წინა ფინალური ეტაპია, სექტემბერი, მალტა. გუნდსაც და მათ გულშემატკივრებსაც იმედი აქვთ, რომ მალტაზე გამგზავრებას დაუფინანსებლობა ხელს ვეღარ შეუშლის, რადგან გუნდი საერთო, მათ შორის ხელისუფლების ყურადღების ცენტრშიც მოექცა.

დღეს, 11 მაისს, 12 საათზე „ლაგუნა-ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსში გაიმართება შეხვედრა შესარჩევი ტურნირიდან დაბრუნებულ გუნდთან გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების მონაწილეობით.

## დავა მოგონილი საბაბით



„არა ცილი ჰსწამო“ — გვასწავლის ათიდან ერთ-ერთი მცნება. მაგრამ შეგონება ერთია, შესრულება — მეორე. ჩვენს ყოფაში ცილისწამება აღარავის უკვირს, წამბაძველობით აღარც საჯაროდ ერიდებიან ღვთით საძრახის საქმეს. მიდექი და ლანძღე ვინც გინდა, დააბრალე, რაც გინდა...

საზოგადო საქმის სასიკეთოდ და არა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ვისაც აქვს სურვილი თავისი საწუხარი საზოგადოებას აცნობოს, ცივილურ მეთოდს მიმართავს, მავანს დებატებში გამოიწვევს ან მეორე მხარეს მოისვამს გვერდით, როგორც ის ჩვენში ზოგიერთ სატელევიზიო გადაცემაში ხდება და ისე განსჯის განსასჯელს.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, სპორტში იშვიათობაა, ძალიან იშვიათობა, რადგან ეს სამყარო სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანებითაა დასახლებული. ამიტომ დიდად სამწუხაროა, როცა თუნდაც იშვიათობის, თუნდაც გამონაკლისის მოწმე ვხდებით.

რა უნდა ჰქონდეს ერთმანეთში გასაყოფი დედაქალაქში ჩუბინიშვილის (ყოფილი ორჯონიკიძის) ქუჩაზე ადრინდელ ლენინის სტადიონის ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენში სპორტის ჩასახვა-განვითარების ადგილის დედად იქცა (სხვათა შორის, თავის დროზე აქ დაიწყო ფრთების გაშლა საქართველოში პირველმა ეროვნულმა სპორტულმა საზოგადოებამ „შევარდენმა“), 1933 წელს აქ გაიხსნა, მაშინ ლ.პ. ბერიას სახელობის თბილფიზტექნიკუმი, რომლის სამართალმემკვიდრე დღევანდელი ფიზიკური აღზრდის კოლეჯია და მერე იქაურ ჭერქვეშ შესახლებულ სხვა სპორტული ობიექტებს? კაცმა რომ თქვას, არც არაფერი, იყავით თქვენთვის და იმუშავეთ ქვეყნისათვის სულიერად მხნე და ფიზიკურად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის სასიკეთოდ. მაგრამ არა, მეზობელს მეზობელი არ მოსდის თვალში და, როგორც იტყვიან, შარზეა. უფრო სწორად, მოგვიანებით აქ ბინადადებულთ — განათლების

*იხ. მე-2 გვ.*

## ნათია მიქაძე უძლიერესია ევროპაში



თბილისელი ჩოგბურთელის ნათია მიქაძის ტრიუმფით დასრულდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 16 წლამდე გოგონათა ჩემპიონატი ჩოგბურთში. საქართველოს სამგზის ჩემპიონი ორ ტურად გამართულ ასპარეზობაში ჯერ მეორე ადგილზე გავიდა, მეორე ტურში კი პირველი იყო და საერთო ჯამში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა (მწვრთნელები ეკა და გურამ თოხაძეები). ნათია მიქაძემ ამ წარმატებისთვის წამახალისებელი პრემია ორი ათასი აშშ დოლარი დაიმსახურა საერთაშორისო ფედერაციიდან, რათა ნიჭიერმა ქართველმა გოგონამ სხვა საჩოგბურთო ტურნირებშიც მიიღოს მონაწილეობა.

„ლელო“ – „გუმათე“

## ლევან ცაგურია კი მესამე ტურნირში ჩაება

იაპონიაში დაიწყო სუმოში იმპერატორის თასის გათამაშების მესამე ეტაპი. ქართველი **ლევან ცაგურია** (კოკკაი) წინა ეტაპებზე მიღწეული წარმატების წყალობით ამ ეტაპზე ჩვენებური შედარებით მაღალ რანგში გამოდის. ცაგურიას მეტოქე პირველ შეხვედრაში იყო მისივე დონის დასავლეთის მე-7 მაეგაშარა კიოკუშუზანი. შერკინება კოკკაიმ მოიგო ეფექტური ილეთით.

## ფინალური ეტაპი და მეტოქეები



ცნობილი გახდა საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელ მეტოქეთა ვინაობა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. მონაწილენი ორ ჯგუფად დაჰყვეს. ჩვენების მეტოქეები იქნებიან საფრანგეთის, იტალიის, ლატვიის, რუსეთის და სერბეთის ჭაბუკთა გუნდები. გრაფიკი ასეთია: 9 ივლისს მატჩი ფრანგებთან, 10-ში — იტალიელებთან, 11-ში ლატვიელებთან, 13-ში — რუსებთან და 14-ში — სერბებთან. შეგახსენებთ, რომ ფრანგ, ლატვიელ და იტალიელ თანატოლებს ჩვენები შესარჩევი ეტაპის შეხვედრებიდან იცნობენ.

## საჩუქარი მოჭადრაკეებს

ბათუმში 6 მაისის ცნობილი მოვლენების გამო, კვლავ ეჭვქვეშ დადგა მსოფლიოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ჩატარების საკითხი. როგორც იცით, ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა, 30 აპრილს, მიხეილ სააკაშვილთან და ასლან აბაშიძესთან შეხვედრების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს ტურნირი ბათუმის ნაცვლად, ჩატარებულიყო ელისტაში. მაშინ აბაშიძემ განუცხადა ფიდეს პრეზიდენტს., რომ საკუთარ თავზე აიღებდა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებისათვის საჭირო ფინანსური საკითხების მოგვარებას.

გუშინ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტმა **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ ასლან აბაშიძის ხელშეწყობით, ფიდეს საბანკო ანგარიშზე 6 მაისს ჩაირიცხა 570 ათასი დოლარი, რაც საჭიროა შეჯიბრების სრულყოფილად ჩასატარებლად.

„საბედნიეროდ, მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება და ფიდეს გადაწყვეტილებით მას დაერქვა „ასლან აბაშიძის საჩუქარი“. დამზადებულია სპეციალური ჯილდო გამარჯვებულისთვის ფულად პრემიასთან ერთად“, — თქვა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, მისი აზრით, აბაშიძეს შეეძლო თავისუფლად ეთქვა უარი ხარჯების გაღებაზე, მაგრამ სულგრძელობა გამოიჩინა და დაპირება შეასრულა.

## რაგბი გადახალისდა

რაგბის კავშირს ახალი გენერალური მდივანი ჰყავს — **სოსო მაისურაძე,** რომელიც ყოფილი მორაგბეა და გააჩნია, როგორც ორგანიზაციული, ისე სამენეჯმენტო გამოცდილება. საშეჯიბრო კომიტეტს სათავეში ჩაუდგა **ირაკლი ხუციშვილი,** მსაჯთა კომიტეტს უხელმძღვანელებს **გოჩა აბაშიძე,** მასმედიასთან და საზოგადოებრიობასთან ურთიერთობას — **გოჩა ხუნდაძე.**

საქართველოს რაგბის კავშირში გატარებული ამ ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ გუშინწინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს აცნობა კავშირის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **მერაბ ანთაძემ.** მან რწმენა გამოთქვა, რომ რაგბის სამყარო ერთ მონოლითურ ოჯახად შეიკვრება და შეძლებს დაძლიოს ყველა პრობლემა.

ითქვა, რომ კავშირის წინა ხელმძღვანელობის მიერ დატოვებული დოკუმენტაციით წელიწადში 700-800 ათასი დოლარი იხარჯებოდა და მაინც, კავშირმა ვალები გადაულოცა ახალ ხელმძღვანელობას. ამიერიდან, შეთანხმებისამებრ, რაგბში ეროვნულ ნაკრებს სპონსორობას გაუწევს ფრანგული კომპანია „კასტელი“.

## პროფკავშირი კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა

გასრულებული საქმის შემდეგ საზეიმო შეხვედრების გამართვა უცხო არ არის საქართველოს სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირისათვის (თავმჯდომარე იროდი ბეჟაშვილი). ამჯერად დასაჯილდოებლად და დასაფასებლად უხმეს 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი დარგობრივი სპარტაკიადის გამარჯვებულებს და პრიზიორებს, აგრეთვე მინიფეხბურთში ამ დღეებში დამთავრებულ ტურნირში თავგამოჩენილ გუნდებს. ეს შეხვედრა კი საგულისხმო იმითაც იყო, რომ ომის 50 ვეტერანს გაეწია ფულადი დახმარება, ზოგიერთ ვეტერან და მოქმედ სპორსტმენს კი ჯანმრთელობის პოლისი გადაეცა. ამ ღონისძიების ორგანიზება შესაძლებელი გახდა ისეთი სპონსორი ფირმების შემწეობით, როგორიცაა: „ავერსი“ (ვ. კურტანიძე), „სიმპათია“ (თ. შავგულიძე), „თათმანი“ (ო. სირბილაძე), „თეთრი ქალაქი“ (თ. ბაქანიძე), „იმედი ლ“ (ა. ტუღუში)...

## გახსოვდეთ სპორტის წყალთა სახეობები

ახლა, როცა აჭარაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს უბრუნდება, დღის წესრიგში დგება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება და ამაში მხოლოდ მატერიალური სიკეთე არ იგულისხმება. თავის დროზე აჭარაში ჩაეყარა საფუძველი საქართველოში სპორტის წყალთა სახეობების განვითარებას. პირველი რესპუბლიკური შეჯიბრებებიც ბათუმში ჩატარდა ცურვასა და წყალბურთში. ზუსტად 55 წლის წინათ, 1949 წლის აპრილში, ბათუმი გახდა მერვე ქალაქი საბჭოთა კავშირში, სადაც გაიხსნა ცურვის სკოლა. გაეიდა წლები და ჩვენი შავიზღვისპირა ქალაქი სპორტის წყალთა სახეობების ერთ-ერთ მთავარ კერად იქცა საქართველოში. გაიზარდა საცურაო აუზების რიცხვიც. ბოლო წლებში კი ყველაფერი შეიცვალა, ბათუმში დაიხურა საცურაო აუზები, სპორტული სკოლები, სექციები... მაგრამ გაიხსნა უნიკალური საცურაო აუზი — ძაღლებისთვის, ასევე უნიკალური საშხაპეები თუ რა ჰქვია ამას, განსჯა თქვენთვის მოგვინდვია.

ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა, იმედია, ამ კუთხეში სპორტის წყალთა სახეობების აღორძინებასაც გულისყურით მოეკიდება.

# დავა მოგონილი საბაბით

პირველი გვერდიდან

სამინისტროს მძლეოსნობის სპორტსკოლას და ამავე სამინისტროს საფეხბურთო „სკოლა XXI საუკუნეს" გაუჩნდა პრეტენზია ძირძველი მობინადრისადმი. არა, იმას არ ვამტკიცებთ, რომ ნებისმიერ დავაში, მოდავე, შეიძლება ცამდე მართალიც არ იყოს, მაგრამ, როცა პირშეკრული ორი ორგანიზაცია მეორე მხარის გვერდის ავლით ცდილობს ამტკიცოს, რაც სურს, ჭეშმარიტება ეჭვქვეშ დგება. არადა, ყველაფერს თავის დროზე დაესვა წერტილი სპორტის დეპარტამენტის სწორი გადაწყვეტილებით.

„ლელოს" წარმომადგენელი იყო ერთადერთი, რომელმაც იმ პრესკონფერენციაზე ხსენებულ ორგანიზაციებს ამის შესახებ შეახსენა, რაც მათი მხრიდან დემაგოგად მონათლა.

არადა, ფიზიკური აღზრდის კოლეჯიდან ვინმე რომ მოეწვიათ, იქვე გაირკვეოდა, რომ კოლეჯი ამავე სასწავლებლის ხელმძღვანელებს დაზღვევის მიღების მიზნით არ დაუწვავს, რომ დაზღვევა, საერთოდ, არ არსებობდა, რადგან სადაზღვევო თანხა არ იყო გადახდილი, რომ კოლეჯს უკანონოდ არაფერი ჩაუგდია ხელში, არც სპორტის დეპარტამენტის და განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა შეუყვანია ვინმეს შეცდომაში, ან და, თბილისის მერიაში და ქონების მართვის სტრუქტურაში ისეთი მიამიტი იურისტები არიან, მართლა „კაგანოვიჩის დროინდელ" ფარატინა ქაღალდით დააკანონეს უკანონობა? როგორ გეკადრებათ! ანდა, თუ მართლა ასეა, ამისთვის ხომ სასამართლო არსებობს. მაგრამ არა, აქაოდა, მოპასუხე არავინ გვყავსო, გარეკეს და გარეკეს, თათხეს და რა თათხეს სპორტში მომუშავე თავისივე კოლეგები. აი, რამ აღგვაშფოთა ყველაზე მეტად.

ერთი დარგში მოღვაწე ფაქტობრივი მეზობლები (ფაქტობრივი, იმიტომ, რომ „XXI საუკუნე" სულ სხვა მისამართზე ყოფილა რეგისტრირებული), ერთმანეთს ისე გადაეკიდნენ, ძნელი აღარ არის ივარაუდო თუ რით დამთავრდება ეს ყველაფერი. უკვე გავრცელდა ხმები, რომ პროკურატურა და საგადასახადო მალე დაინტერესდება ხსენებულ ტერიტორიაზე განთავსებული ორგანიზაციების მიზნობრივი და არამიზნობრივი საქმიანობით, კანონის შესაბამისად მათი ლეგიტიმურობით. აუცილებლად დადგინდება ისიც თუ რის საფუძველზე მიიჩნევს თავს 35-ე საფეხბურთო სკოლის სამართალმემკვიდრედ „XXI საუკუნე". 35-ე სკოლა ხომ დღესაც ფუნქციონირებს, ოღონდ, სხვა მისამართზე (თუმცა ამ სკოლას ჩუბინაშვილის ქუჩაზე ჭერქვეშ არასდროს უმუშავია, სკოლა მეზობელ ქუჩაზე იყო, ყოფილ ორჯონიკიძის ქუჩაზე კი სპორტული ბაზით სარგებლობდა).



მალე ალბათ ისიც დადგინდება იქ, სადაც სპორტული სკოლებია განთავსებული მინისტრის ეს საწყობი ვის ემსახურება.

ფიზიკური აღზრდის კოლეჯი, როგორც გვითხრეს, თავის მხრივ სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას მათ მიმართ წაყენებულ ყველა ბრალდებასთან დაკავშირებით, პატივისა და ღირსების შელახვისათვის კი მორალურ ანაზღაურებას მოითხოვს... არაა გამორიცხული სასამართლოს მეორე მხარემაც მიმართოს. მით უკეთესი, სიმართლის დასადგენად. თავიდან ჩვენც ამის და არა უშვერი ლანძღვა-გინების მომხრე ვიყავით.

მიმომხილველი

# ამჯერად, მეთორმეტედ

12 წელიწადია თბილისში სისტემატურად ტარდება კარატე-დო შიტო-რიუს კლუბ „ოდიშის" ჩემპიონატი, რომლის ორგანიზატორები არიან კლუბის პრეზიდენტი ჯამბულ კოდუა და ვიცე-პრეზიდენტი ოთარ ჯოხაძე. ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები, როგორც კარატეს ამ სახეობის ხელმძღვანელები — პრეზიდენტი მიხეილ ასათიანი, ვიცე-პრეზიდენტი ვაჟა ასათიანი, ისე რეგიონების წარმომადგენლები.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. კატა. 10 წლამდე:** 1. ზურაბ წილოსანი და მათე შელია, 2. დავით მიქელბაია, 3. ნიკა ყოლბაია, **10-დან 14 წლამდე:** 1. გიორგი ჩანგელია, 2. დევი კუცია, 3. ნიკა ძიგუა; **კუმიტე. გოგონები. 11-12 წწ:** 1. ელისო ქიტაძე, 2. სოფიკო ქიმაძე, 3. ანა ქიმაძე (სამივე — ახალციხე); **13-14 წწ:** 1. ასია კირაკოსიანი, 2. არნელია კანდელაკი, 3. ნინო ჩონიაძე და სოფო კახელიშვილი (სამივე — თბ); **7-8 წწ. ბიჭები. მსუბუქი წონა:** 1. კახა კოდუა (თბ), 2. დავით მიქელბაია (ზუგდ), 3. თორნიკე ქიმაძე (ახალც) და დავით ასაშვილი (თბ); **მძიმე:** 1. ედგარ პაშიანი, 2. მინდია კოტორაშვილი, 3. გიორგი კოკაია (სამივე — თბ) და მათე შელია (ზუგ); **9-10 წწ. მსუბუქი:** 1. ოთარ ოქროპირიძე (თბ), 2. ნიკა ყოლბაია (ზუგ), 3. ირაკლი პირტახია და გ. ჩილინგარიშვილი (ორივე — თბ); **მძიმე:** 1. ზურაბ წილოსანი (თბ), 2. ბექა შკუბულიანი, 3. გიგა უგრეხელიძე (ორივე — ბოლნ) და დაჩი ოქროპირიძე (თბ); **11-12 წწ. მსუბუქი:** 1. სერგო ბედოშვილი, 2. გურამ ბერძული, 3. გიორგი კილაძე (სამივე — თბ) და კობა ქიტაძე (ახალც); **მძიმე:** 1. გიორგი პირტახია, 2. გიორგი შოშიტაშვილი (ორივე — თბ), 3. დავით გაბედავა (ზუგდ) და ვახტანგ კოტორაშვილი (თბ); **13-14 წწ. მსუბუქი:** 1. ლევან ლაზარიშვილი (ახალც), 2. გიორგი გოგოძე (თბ), 3. გელა ბუბუტეიშვილი (ზუგ) და თორნიკე ჩხეტიანი (ბოლნ); **მძიმე:** 1. მიხეილ მესხი (ახალც), 2. გიორგი ჭანტურია, 3. დავით ეზუგბაია და მიხეილ გალუსტაშვილი (სამივე — თბ); **15-16 წწ. მსუბუქი:** 1. ალეკო წიფლაშვილი, 2. გურამ მამასახლისი, 3. გიორგი ჩანგელია და დავით წიფლაშვილი (ყველა — თბ); **მძიმე:** 1. დიმა თარბაია, 2. ლევან გოთაძე (ორივე — თბ), 3. გიორგი შენგელია (ზუგ) და ირაკლი კუპატაძე (თბ); **17 წ. და ზევით:** 1. გიგა ქალიაშვილი (თბ), 2. გიორგი გაბრიჭიძე, 3. ოთარ მუშკუდიანი და ცეზარ კვირიკაშვილ (სამივე — ბოლნისი).



**მარცხნიდან: 1. რიგში — დ. ოქროპირიძე, გ. შოშიტაშვილი, მ. ასაშვილი, გ. კოკაია, მ. გალუსტაშვილი, გ. ბერძული, გ. გოგოძე; II რიგში — დ. ასაშვილი, ო. ოქროპირიძე, ი. პირტახია, ზ. წილოსანი, ს. ბედოშვილი, გ. კილაძე, გ. პირტახია, კ. კოდუა, ე. პაშიანი; III რიგში — ა. კირაკოსიანი, ნ. ჩონიაძე, ა. კანდელაკი, დ. თარბაია, ჯ. კოდუა, გ. ქალიაშვილი, გ. ჩანგელია, დ. ეზუგბაია.**



ფოტოები რობერტ ბაგოიანისა

# საქართველო ოლიმპიზმის მიჯნაზე

## ეს ჩვენი ისტორიაა

### ლილეჰამერიდან მომავლისაკენ!

მთელი მსოფლიო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შექმნის 100 წლისთავისათვის ემზადებოდა. ეს ორგანიზაცია 1894 წლის 23 ივნისს შეიქმნა საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც პარიზში შეიკრიბა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აქტუალური პრობლემების განსახილველად.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მეშვიდე პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა, რომლის მმართველობის დროს სოკ-ის რიგები, მისი დაარსებიდან 100 წლისთავზე ახალწარმოქმნილი დამოუკიდებელი ქვეყნებით შეივსო, გადაწყვიტა პირადად წვეოდა ახალ წევრ ქვეყნებს. 1994 წელს მის ჩამოსვლას მოუთმენლად ველოდით თბილისშიც. მასპინძლობამ, რაღა თქმა უნდა, უმაღლეს დონეზე ჩაიარა. სოკ-ის თავკაცი აღტაცებული დარჩა საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიური მიღწევებით, მათ მიერ შეტანილი წვლილით ოლიმპიური მოძრაობის ავტორიტეტის ამაღლება-განმტკიცებაში.

სამარანჩის ხელმძღვანელობით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მაღალჩინოსანთა დელეგაციის თბილისში ჩამოსვლიდან ერთი თვის თავზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია გაიმართა თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის საქტო დარბაზში. ეს სესია ახალი წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობაში.

ბარსელონაში ზაფხულის ოლიმპიური თამაშები უკანასკნელი იყო, სადაც საბჭოთა რესპუბლიკები კვლავ ერთად გამოვიდნენ, მაგრამ არა საბჭოთა ნაკრების, არამედ გაერთიანებული გუნდის სახელით. ბარსელონის შემდეგ ჩვენი ფიქრი და საქმე მთლიანად ატლანტაზე გადაერთო. გარკვეული გამოცდილება უკვე მიღებული გვქონდა — ბარსელონაში ხომ გარკვეულწილად ჩვენც და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც შენარჩუნებული გვქონდა სუვერენული უფლებების გარკვეული სტატუსი. ატლანტა მაინც სხვა იყო, იქ მთლიანად საკუთარი თავის იმედად მივდიოდით და უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სეოკ-ის ორგანიზაციული საკითხების ნაბიჯ-ნაბიჯ და, რაც მთავარია, შეუცდომლად მოგვარებაში. ჩვენი ოლიმპიური კომიტეტი, მისი გენერალური მდივნის ემზარ ზენაიშვილის დაუღალავი და ენერგიული საქმიანობის წყალობით, მოვლენებს, როგორც იტყვიან, საიმედოდ აკონტროლებდა. დიპლომატიური პროცესები რუსეთთან, როგორც სსრ კავშირის მთავარ სამართალმემკვიდრესთან, ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე ამოწურული. სპორტული ურთიერთობები, მართალია, მკაფიოდ გაიმიჯნა, მაგრამ რუსეთის ეოკ-ი მაინც ცდილობდა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებას. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ მცდელობაში მხოლოდ რუსეთის ინტერესები იყო გათვალისწინებული. მეტიც, ყველა წინადადება, რომელიც შეიტანა სეოკ-მა საქართველოს სპორტულ ორგანიზაციებში თანამეგობრობის ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტის წესდების საჯარო განხილვის. შედეგებიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მიესალმა ახალი რეგიონული ორგანიზაციის შექმნას და რუსული ენა სოკ-ის ერთ-ერთ ოფიციალურ ენად აღიარა. ყოფილმა 8 საბჭოთა რესპუბლიკამ თანხმობა განაცხადა და ამ ახალი ასოციაციის დაფუძნების დეკლარაციას ატლანტაში საზეიმო ვითარებაში მოაწერა ხელი. საქართველო, მოლდოვა და ბელარუსი დეკლარაციას არ შეუერთდა, უკრაინის წარმომადგენლები, საერთოდ, არ ჩავიდნენ ატლანტაში ამ შეკრებაზე. ოლიმპიური თანამეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტის პოსტი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიკავა რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტმა და სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ვიტალი სმირნოვმა.

1994 წლის იმავე პერიოდში პრაქტიკულად მოგვარდა ჩვენთვის ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. ქალაქში, სადაც ოლიმპიური თამაშები ტარდება, ყველა ცდილობს ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, ანუ ოლიმპიური ატაშე. ბედნიერებაა, თუ შესაფერისი კადრი გამოინახება თვით თამაშების მასპინძელთა შორის. ამ მიმართებით გაწეულმა სეოკ-ის ძალისხმევამ, ნამდვილად გაამართლა. წესით, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ატლანტა თბილისთან დაძმობილებული ქალაქია, რაც სასურველი პიროვნების არჩევანის დიდ შესაძლებლობას იძლეოდა ბევრ ღირსეულ ადამიანთან მეგობრული კონტაქტებით. ცნობილი ბიზნესმენი, ჯორჯიის შტატის ერთ-ერთი ქალაქის მერი, ატლანტა-საქართველოს მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტი კელვინ ჰილი სწორედ ის ადამიანი აღმოჩნდა, რომელიც თავისი სტატუსით, გნებავთ, დამოკიდებულებით, გნებავთ, წმინდა ადამიანური ღირსებებით ყოველმხრივ აკმაყოფილებდა სეოკ-ის მოთხოვნებს. სეოკ-ის აღმასკომმა 1994 წლის დეკემბერში იგი ერთხმად დაამტკიცა საქართველოს ოლიმპიურ ატაშედ ატლანტაში. იგი აღიჭურვა უფლებამოსილებით თამაშების საორგანიზაციო კომიტეტთან გადაეჭრა ყველა საკითხი ოლიმპიადაში ჩვენი ქვეყნის დელეგაციის მონაწილეობასთან დაკავშირებით.

### მესამე ოლიმპიური დღეები

ამასობაში ევროპის ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიური დღეებისათვის სპორტსმენთა შესარჩევად გაცხოველებული მზადება მიდიოდა ფედერაციებში, რომლებსაც გამუდმებული საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ სეოკ-თან.

განვლილ ორ წელიწადში, მართალია, ევროპის ოლიმპიური საზღვრები აღარ გაფართოებულა, ბათში, ვალკენსვაარდთან შედარებით, ოთხით მეტი ქვეყნის სპორტსმენები ჩაებნენ ასპარეზობაში, ძირითადად იმათ ხარჯზე, ვინც წინა თამაშებში ვერ მოაგვარა მონაწილეობის ორგანიზაციული საკითხები.




ბათში მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობამ 1816 შეადგინა. ცხადია, შეიძლებოდა ჩვენი სპორტული დელეგაცია ამჯერადაც შთამბეჭდავი ყოფილიყო რაოდენობრივად, მაგრამ გადავხედოთ ცხრილს, ვნახოთ, ვინ რამდენი, რა ხარისხის და რა რაოდენობის მედალი დაიმსახურა ბათში და რომელ ადგილზე გავიდა, ასე ვთქვათ, „პოსტსაბჭოურ სივრცეში".

| ადგ. | ქვეყნები | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | რუსეთი | 12 | 8 | 7 | 27 |
| 2. | უკრაინა | 3 | 5 | 8 | 16 |
| 3. | ბელარუსი | 2 | 1 | 5 | 8 |
| 4. | ლიტვა | 2 | 0 | 0 | 2 |
| 5. | საქართველო | 1 | 1 | 3 | 5 |
| 6. | ესტონეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| 7. | აზერბაიჯანი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 8. | ლატვია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 9. | სომხეთი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 10. | მოლდოვა | 0 | 0 | 0 | 0 |

ახლა აღარც მოტივაცია იყო ადრინდელი და აღარც ეკონომიკური შესაძლებლობები იძლეოდა ამის შესაძლებლობას. სპორტის ბრწყინვალება მაინც ხარისხია. აი, რა იყო წამოწეული წინა პლანზე. გარდა იმისა, რომ ფეხბურთელთა გუნდი აღარ იყო ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში, დარჩენილ 6 სახეობაშიც (მძლეოსნობა, ძიუდო, ჩოგბურთი, ველოსპორტი, ცურვა, ტანვარჯიში) მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულებს გამოუცხადეს ნდობა. და ბათში სულ 20 სპორტსმენი წაიყვანეს.

წინ გავუსწრებთ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას და ვიტყვით, რომ ბათიდან მოყოლებული დამაჯერებლად უკეთესობისკენ მიდიოდა საქმე. მხედველობაში გვაქვს მიღწეული წარმატებები. ყველა თამაშებს ნიშანსვეტად გასდევდა მედლების როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი გაუმჯობესება, თანაც მინიმუმამდე მონაწილეთა შემცირების ხარჯზე.

მაშ ასე, ბათი. პირველად აქ აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, პირველად აქ მოვიპოვეთ ოქროს მედალი. ჩვენს ძიუდოისტებს ჯადოქრები უწოდეს — ოქროს და ვერცხლის თითო და ბრინჯაოს სამი მედალი — ეს მართლაც საოცრება იყო. ამ მიღწევამ ჩვენი სპორტული დელეგაცია მეცხრამეტე ადგილზე გაიყვანა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში — მეხუთეზე. სულ გათამაშდა 274 მედალი (ოქროსი — 87, ვერცხლისა — 85, ბრინჯაოსი — 102).

თენგიზ გაჩეჩილაძე

გაგრძელება იქნება

დასაწყ. „ლელო" №31-36.

საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაცია და სააქციო საზოგადოება საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა – ვერე" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სპორტის ვეტერანი მუშაკის, ფრენბურთში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივნის

**ედუარდ სანთელაძის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებაში თანაუგრძნობს ამავე დეპარტამენტის თანამშრომელს გოდერძი შურღაიას **მეუღლის** გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის მერიის განათლების განყოფილების ფიზიკური აღზრდის სექტორი ღრმა სამძიმარს უცხადებს 142-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს გოდერძი შურღაიას მეუღლის

**ლონდა კვარაცხელიას**

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 11, 12.05; გამოსვენება 13.05, 14 სთ. მისამართი: გლდანი, ხიზანიშვილის, 57.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №7 (29) მაისი. 2004 წელი


# პირველი რეგიონალური

# საერთაშორისო ტურნირი კარატე-დოში


# საერთაშორისო ტურნირი კარატე-დოში


საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

გენერალური სპონსორი BP & ITS PARTNERS IN BAKU-TBILISI-CEYHAN OIL AND SOUTH CAUCASUS GAS PIPELINES




## მოგესალმებით, ქართველო კარატისტებო!



მადლობას ვუხდი საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის თითოეულ წევრს, მის ხელმძღვანელობას, პირადად კახა ბასილიას, ქართველი ხალხის სამსახურში მრავალწლიანი, უანგარო მოღვაწეობისათვის!

დარწმუნებული ვარ, ეს ჩემპიონატი, როგორც ყოველი მისი წინამორბედი, თვალსაჩინო დასტური იქნება ქართული გენის, ვაჟკაცური, საბრძოლო სულისკვეთების გამოვლენისა!

*საქართველოს შსს მინისტრი, ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი,*
*გიორგი ბარამიძე*

## წარმატებას გისურვებთ ტურნირის მონაწილეებო!



მივესალმები ტურნირის მონაწილეებს, ორგანიზატორებს, სტუმრებს და იმედს გამოვთქვამ, რომ პირველი რეგიონალური საერთაშორისო ტურნირის ჩატარება სამცხე-ჯავახეთში, ხელს შეუწყობს მასობრივი სპორტის, კერძოდ ორთაბრძოლების სახეობების განვითარებას საქართველოში, რაც თავისთავად გულისხმობს ახალგაზრდების მოზიდვას და მათ უშუალო მონაწილეობას იმ დიდ მოძრაობაში, როგორიც არის სპორტი ყველასათვის. ამგვარი სპორტული ღონისძიებების დამკვიდრება, კარგი საფუძველია მონაწილეთა ოსტატობის ამაღლებისა, ფედერაციებსა და კლუბებს შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარებისა, საბრძოლო ხელოვნებების განვითარებისა და მისი პოპულარიზაციისა ჩვენს ქვეყანაში. ტურნირის ორგანიზატორებს, მის წარმატებით ჩატარებას ვუსურვებ.

*საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის მინისტრი*
*გოგა ხაინდრავა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარატე — ქართველი ერის სამსახურში



მჯერა, რომ რეგიონალური საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ახალციხეში გაიმართება, სათავეს დაუდებს ამგვარი ღონისძიებების ჩატარებას სხვა რეგიონებშიც, რაც იმის წინა პირობაა, რომ საბრძოლო ხელოვნებაში მოვარჯიშეთა უკვე მრავალრიცხოვანი რიგები კიდევ უფრო გაიზრდება.

უნდა აღინიშნოს, საბრძოლო ხელოვნებათა საკოორდინაციო საბჭოს და კარტე-დოს ეროვნული ფედერაციის წევრ ორგანიზაციათა ძალისხმევა, საქართველოში ორთაბრძოლების განვითარებისა, მისი პოპულარიზაციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის. მათი დევიზია: ქუჩიდან სპორტულ დარბაზებში და სტადიონებზე!

დაუნდობელი ბრძოლა ნარკომანიას და არასრულწლოვანთა დამნაშავეობას!

გისურვებთ წარმატებებს.

*კახა ბასილია*
*საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი*

# საერთაშორისო ტურნირი — კარატეს ახალი წარმატება

ისე, როგორც არასოდეს, ჩვენი ქვეყნისათვის, დღეს, დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობის, ჩამოყალიბების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რთულ პროცესში მომავალი თაობის ფიზიკური და სულიერი აღზრდა, ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი უნდა გახდეს. საბრძოლო ხელოვნების ფედერაციები და ორგანიზაციები მრავალი წელია თავდაუზოგავად ემსახურებიან ქართველი ახალგაზრდების ფიზიკური სრულყოფის კეთილშობილურ საქმეს. 30000-ზე მეტი ახალგაზრდა ისტატდება ორთაბრძოლების სხვადასხვა სახეობებში და ჩვენ გვჯერა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღების გამოჩენის შემთხვევაში სპორტის მიმართ, საქართველოს ფიზიკურად სრულყოფილი და სულიერად მტკიცე მომავალი თაობა ეყოლება.

მივესალმები ტურნირის მონაწილეებს და ვუსურვებ წარმატებებს.

*ზურაბ ლეჟავა*
*საქართველოს აღმოსავლური ორთაბრძოლების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე*

# ყურადღება! ყურადღება! ყურადღება!

— 22–23 მაისს, ფოთში, გაიმართება საერთაშორისო სემინარები და ატესტირება, საერთაშორისო კვალიფიკაციების მინიჭებით. მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის წამყვანი სპორტსმენები, ინსტრუქტორები და მსაჯები.

— 21 მაისს, დაიწყება ეროვნული ნაკრების შეკრება. საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორები და ჩემპიონები უნდა გამოცხადდნენ ფედერაციის ოფისში.

— 29 მაისს, თბილისში, გაიმართება საერთაშორისო ტურნირი.

— 3–6 ივნისს, ევროპის ჩემპიონატი გაიმართება (wkc) იტალიაში.

# საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

空手道

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.

ნუგზარ ქიაბერაშვილი. საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# „თბილისი" – „დინამო"(თბ) 0-2

საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. განსაკუთრებით დაძაბულია ზემო ექვსეულის მატჩები. VIII ტურის ცენტრალური შეხვედრა „ოლიმპიკის" სტადიონზე შედგა, სადაც თბილისურ დერბში „თბილისი" და „დინამო" დაუპირისპირდა ერთმანეთს. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა სწრაფ ტემპში და დაძაბულად წარიმართა.

პირველ ნახევარში უპირატესობას თუმცა მასპინძლები ფლობდნენ, გოლის გატანას მაინც ვერ ახერხებდნენ. „დინამოს" დაცვა დამაჯერებლად თამაშობდა. გია გეგუჩაძემ გუნდი ამჟამად შეცვლილი ტაქტიკური სქემით გამოიყვანა, რამაც გაამართლა. კაშია დაცვაში შაშიაშვილთან, სილაგაძესთან და კვირკველიასთან ერთად აქტიურობდა, ნახევარდაცვაში შთამბეჭდავი იყო ჯაბა კანკავას დებიუტი, იაშვილისა და კაკალაძის დუეტი კი ერთობ საინტერესო და სახიფათო კონტრშეტევებს ქმნიდა.

„თბილისის" რიგებში უფრო ოდიკაძე, აფციაური და ხოჯავა აქტიურობდნენ. ოდიკაძეს არაერთხელ შეეძლო სტუმრები დაემწუხრებინა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ბედი არ სწყალობდა.

მე-16 წუთზე იაშვილმა ერთ-ერთი რეალური შანსი გაუშვა ხელიდან, როცა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი კარს ააცილა. 26-ე წუთზე აფციაურის კარგი პასი ვერ გამოიყენა ოდიკაძემ. მალევე კვლავ იაშვილს გაუცუდდა მიზანი, ისევე როგორც ოდიკაძეს, რომლის საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი ზოიძემ კვლავ საჯარიმოში დააბრუნა, შემდეგ კი კვარაცხელიამ ვერ გამოიყენა კარგი მომენტი. ტაიმის მიწურულს იგივე ბედი ეწია ხოჯავას და იაშვილის დარტყმებს.

რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მატჩი ნულოვანი ანგარიშით დასრულდებოდა. მასპინძლები უხეიროდ კი უტევდნენ, მაგრამ უფრო მოზომილი და გამიზნული მოქმედებით არც სტუმრები გამოირჩეოდნენ.

მეორე ტაიმში, თამაშში აქტიურად ჩაერთო რომერო, თუმცა, რამდენიმე მომენტი ვერც მან გამოიყენა. 58-ე წუთზე კანკავამ კარგად ითამაშა, ბურთი ანჩაბაძეს მიაწოდა, დაარტყა კიდეც შორიდან, გრიშიკაშვილის მოგერიებულს კი კაკალაძემ მისცა სწორი მიმართულება 0-1. „თბილისი" უტევდა, მაგრამ, უშედეგოდ. მატჩის მიწურულს, სამაგიეროდ მეტოქემ გრიშიკაშვილის კარის ბადე კიდევ ერთხელ შეარხია კვირკველიას ზუსტი დარტყმის შემდეგ.

„დინამო" ახლა კვლავ პირველ ადგილზეა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობს. საბოლოოდ ყველაფერი დარჩენილი ორი ტურის შემდეგ გაირკვევა.

ლ. ჯანკოტაძე

საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
VIII ტური
უმაღლესი ლიგა



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# ხელიდან გაშვებული შანსი

„სიონი" „დინამოს" ჩამორჩა. „სპარტაკი" გავარდა. ასეთი შედეგები მოიტანა ეროვნული ჩემპიონატის VIII ტურმა. სანდრო იაშვილის და მთლიანად გუნდის ჩინებული, აწყობილი თამაშის წყალობით „დინამო" სატურნირო ცხრილში დაწინაურდა. ახალმა ლიდერმა პრინციპული მატჩი უპირობოდ მოუგო „თბილისს". გეგუჩაძის შეგირდებს გალიდერებაში თანაქალაქური „ლოკომოტივიც" დაეხმარა. რკინიგზელებმა სავალი გზა შლაგბაუმით ჩაუკეტეს ბოლნისელებს. ჰ აერივით საჭირო ორი ქულა ჩამოართვეს და ცხრილშიც ჩამოაქვეითეს. „სიონი" თამაშს კარგა ხანს იგებდა, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა, უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და ახლა დარჩენილ ორ ტურში უნდა ეცადონ ბოლნისელები დაკარგულის ანაზღაურებას. ჩემპიონატის დარჩენილ ორ კვირაში „დინამო" ეროვნულზე ვიტელებს მიიღებს და გორში „დილას" ესტუმრება, ხოლო „სიონი" გორელებს უმასპინძლებს და ბოლო ტურში თბილისში ჩამოვა „თბილისთან" საპაექროდ. პროგნოზის გაკეთება უმადური საქმეა. ბოლო მატჩებში შეიძლება ისეც მოხდეს, რომ თბილისურ-ბოლნისურ ორთაბრძოლაში ვეტერინარებიც გაერიონ, რომელთაც ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული. გორში ძლიერი წვიმის გამო მატჩი არ შედგა.

ქვედა ექვსეულში გაირკვა ოზურგეთის „მერცხალის" ბედის გამზიარებელი. თბილისის „სპარტაკიც" გავარდა. მიუხედავად მონდომებისა და დიდი მცდელობისა, თბილისელებმა უმაღლეს ლიგაში ადგილი ვერ შეინარჩუნეს. ფოთელებმა „სპარტაკის" დამარცხებით ორი კურდღელი დაიჭირეს, გაუსწრეს მცხეთელებსაც და ბათუმელებსაც. ახლა ექვსეულში ერთი რამ დარჩა გასარკვევი, ვის მოუწევს პირველლიგელებთან გადასასვლელ მატჩებში ჭიდილი.

მთლიანობაში ჩემპიონატში უმთავრესი ინტრიგა შენარჩუნებულია. პირველი გუნდის ვინაობა ჯერ გასარკვევია.

**უმაღლესი ლიგა, VIII ტური**
**I-VI ადგილებისათვის**

დილა — ვიტ ჯორჯია (გადაიდო)
თბილისი — დინამო (თბ) 0-2
სიონი — ლოკომოტივი 1-1

**VII – XII ადგილებისთვის**

მერცხალი — დინამო (ბთ) 0-1
ტორპედო — მცხეთა 0-0
სპარტაკი — კოლხეთი 1913 0-1

**I-VI ადგილებისთვის**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 8 | 3 | 3 | 2 | 12-6 | 37 |
| სიონი | 8 | 4 | 3 | 1 | 11-5 | 35 |
| ვიტჯორჯია | 7 | 3 | 2 | 2 | 5-2 | 32 |
| თბილისი | 8 | 3 | 4 | 1 | 11-6 | 31 |
| ლოკომოტივი | 8 | 1 | 4 | 3 | 5-9 | 23 |
| დილა | 7 | 0 | 2 | 5 | 1-17 | 19 |

**VII –XII ადგილებისთვის**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 5 | 2 | 1 | 15-6 | 34 |
| კოლხეთი1913 | 8 | 4 | 3 | 1 | 9-4 | 27 |
| მცხეთა | 8 | 4 | 3 | 1 | 7-3 | 25 |
| დინამო (ბთ) | 8 | 3 | 0 | 5 | 5-10 | 25 |
| სპარტაკი | 8 | 3 | 1 | 4 | 7-7 | 18 |
| მერცხალი | 8 | 0 | 1 | 7 | 1-14 | 6 |

# VIII ტური. სტატისტიკა. 9 მაისი

**თბილისი. სტადიონი „ოლიმპი" 4000 მაყურებელი**
**თბილისი – დინამო (თბ) 0-2**
**თბილისი:** გრიშიკაშვილი, მესხი (ლოლაძე 62), ქიმოკლიძე, ხოჯავა, გ. ნუგ. ჭელიძე, ელიავა (გეწაძე 64), გ. კვარაცხელია, გ. ნოდ. ჭელიძე (ფიფია 60), ოდიკაძე, აფციაური, შ. ჯიქია.
**დინამო:** ზოიძე, კაშია, შაშიაშვილი, ლ. სილაგაძე, კვირკველია, ანჩაბაძე, კანკავა, ახალაია (ბურდული 63), რომერო (ხმალაძე 78), ს. იაშვილი (დვალი 75), კაკალაძე.
**გოლები:** 1-0 კაკალაძე (53), 2-0 კვირკველია (90)
**გააფრთხილეს:** კვირკველია (5), კანკავა (27), ლ. სილაგაძე (85); ელიავა (38), მესხი (43);
**მსაჯი:** ქ. მესხი (ზუგდიდი)

**ბოლნისი. თ. სტეფანიას სახელობის სტადიონი. 2000 მაყურებელი**
**სიონი – ლოკომოტივი 1-1**
**სიონი:** ვოლკოვი, ბაქრაძე (ე. გვასალია 85), ჰიჭვეიშვილი, გილაური, გაბისკირია, თ. სიჭინავა, რ. ონიანი, ქ. ალადაშვილი, გ. შენგელია (ყუგრეხელიძე 46), ისიანი (დარსანია 68), გონჩაროვი.
**ლოკომოტივი:** მამალაძე, ი. ვაშაკიძე, სალუქვაძე, ორბელაძე, ზამთარაძე (მორჩილაძე 46), მანწკავა, გ. ონიანი, სანიკიძე, სახვაძე (ძამსაშვილი 46), გ. მიქაძე, გოგინაშვილი (ვ. გაგუა 88).
**გოლები:** 1-0 რ. ონიანი (8), 1-1 მანწკავა (80)
**გააფრთხილეს:** სალუქვაძე (33)
**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი)

**თბილისი. სტადიონი. „ოლიმპიკი" 500 მაყურებელი.**
**სპარტაკი – კოლხეთი 1913 0-1**
**სპარტაკი:** დევაძე, დონდოლაძე, გ. ქვანია, ჩიკვილაძე, იმნაიშვილი, ჯანგიძე, ქ. შალამბერიძე (მალლაფერიძე 71), კიკნაძე (ი. სამხარაძე 58), კვერენჩხილაძე, ტატანაშვილი, მუშკუდიანი (თ. მჭედლიშვილი 60).
**კოლხეთი:** ბათიაშვილი, ქუტიძე, შ. ლონლაძე, აკობია, ჭითანავა, ნარსია, წურწუმია, თაყაძე, ჯ. შალამბერიძე (კრასოვსკი 81), ჯ. კალანდაძე (მარგალიტაძე 46), ქუთათელაძე.
**გოლი:** 0-1 ჯ. შალამბერიძე (55)
**გაართხილეს:** წურწუმია (55), ბათიაშვილი (71), ჩიკვილაძე (90)
**მსაჯი:** ზ. ანიაშვილი (გორი)

**ოზურგეთი. ცენტრალური სტადიონი. 100 მაყურებელი**
**მერცხალი – დინამო (ბთ) 0-1**
**მერცხალი:** გია გოგუა, მჟავანაძე, პალიაშვილი, კვირკვია, მოწყობილი (ხომაშურიძე 57), გ. წივწივაძე, მებონია, უ. ჩხაიძე, ბართია (ცვაჰანტირაძე 61), სიამაშვილი, თორია.
**„დინამო":** ი. ბალაძე, მახარაძე (დუმბაძე 60, სირბილაძე 86), ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, მანჩხავა, გალოგრე, ბესო თედორაძე (ფურცხვანიძე 46), ქაცარავა, გვიანიძე, დარჩიძე, ფირცხალაიშვილი.
**გოლი:** 0-1 ფირცხალაიშვილი (89)
**გააფრთხილეს:** ბესო თედორაძე (44), მჟავანაძე (47), ფირცხალაიშვილი (61), კვირკვია (67), დუმბაძე (86).
**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**ქუთაისი. სტადიონი „ტორპედო" 500 მაყურებელი**
**ტორპედო – მცხეთა 0-0**
**ტორპედო:** სტურუა, მახვილაძე, ს. თოდუა, ლ. ჭელიძე (ადუაშვილი 82), გამეზარდაშვილი, კოშკაძე (მუმლაძე 68), ბოლქვაძე, მემარნიშვილი, ნერგაძე, შ. ბაბუნაშვილი, ხუციშვილი (გ.დარსაძე 65).
**მცხეთა:** ცინაძე, მგელაძე, ჩაჩუა, ძაგნიძე, რაქვიაშვილი, გ. თოდუა, ბესარაშვილი (ცახნიაშვილი 46), ლ. ჩხაიძე (ფურთუხია 71), ქებაძე, ავალიანი, ხორავა (ციკალიშვილი 83).
**მსაჯი:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

# „დინამო" კიევში წავიდა

ჩემპიონატში დაწინაურებული თბილისის „დინამო" კვირას აიბარგა და ორშაბათს კიევში გაემგზავრა. უკრაინის დედაქალაქში ვალერი ლობანოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო ოთხთა ტურნირი გაიმართება. თბილისელთა გარდა ტურნირში მასპინძლები — კიევის „დინამო", მოლდავური „შერიფი" და ლატვიური „სკონტო" ითამაშებენ. 12 მაისს „დინამო" პირველ მატჩს მოლდაველებთან გამართავს. ლატვიელები უკრაინელებს შეხვდებიან. მოგებულები ფინალში პრიზისთვის ითამაშებენ, წაგებულები — მესამე ადგილისთვის. ჩვენებური „დინამო" კიევიდან 15 მაისს დაბრუნდება. ტურნირს კი ახალგაზრდობის გამოცდისთვის გამოიყენებს და პრესტიჟის დაცვასაც შეეცდება. თბილისელთა უკრაინული შემადგენლობ ასეთია:

**მეკარეები:** ზოიძე, გვარამაძე, თოთლაძე; **მცველები:** შაშიაშვილი, სილაგაძე, კანდელაკი, კაშია, გიგაური, კვირკველია: **ნახევარმცველები:** ხმალაძე, ბურდული, რომერო, კანკავა, ანჩაბაძე, გრიგალაშვილი, კარლოსი, ნემსაძე; **თავდამსხმელები:** ს. იაშვილი, მელქაძე, კაკალაძე, ახალაია, დვალი.

# სახალისო ფეხბურთის მასშტაბები იზრდება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მეორე წელია აქტიურადაა ჩაბმული უეფას „ფან ფუტბოლ სქულის" — ბავშვთა სახალისო ფეხბურთის პროგრამაში. საქართველოში ამ პროგრამამ კარგი ნიადაგი ჰპოვა და მუშაობაც წარმატებულია, რისი გამოძახილიც ამ პროგრამის კოორდინატორის დანიელი ანდერს ლევინსენის გუშინდელი პრესკონფერენცია იყო, რომელსაც სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, აღმასრულებელი დირექტორი ანდრო აბაშიძე, ამიერკავკასიაში სახალისო ფეხბურთის კოორდინატორი ვალერი ჩოლარია და სპორტის მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე ესწრებოდნენ. ვალერი ჩოლარია ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში სახალისო ფეხბურთის პროგრამის განხორციელებას გააკონტროლებს და კოორდინაციას გაუწევს. ჩვენი ინსტრუქტორები ახლახან, სომხეთ-აზერბაიჯანში იყვნენ, ასეთი ტიპის საფეხბურთო სკოლები გახსნეს და სემინარები ჩაუტარეს მწვრთნელებს და ფეხბურთელებს. შარშან დაწყებული სახალისო ფეხბურთის პროგრამის მასშტაბები ფართოვდება, ორმაგდება სკოლების ფეხბურთელთა და ინსტრუქტორ-ლიდერ-მწვრთნელთა რაოდენობა. საქართველო, კონკრეტულად, სფფ პროგრამის განხორციელების ბაზა იქნება და აქედან გაუწევენ კოორდინაციას სახალისო ფეხბურთის განვითარებას ამიერკავკასიაში.

საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში 30 სკოლა გაიხსნება, 14 ჩვენთან და 8-8 მეზობელ ქვეყნებში. მოსამზადებელი სემინარები ჩაუტარდებათ 6.000 ბავშვს, 400 მწვრთნელს. წლეულს, სახალისო ფეხბურთის ბიუჯეტი 500.000 ევროს შეადგენს, სკოლებს დაურიგდებათ ბურთები, მაისურები, კეპები, ჩატარდება 2-3 დღიანი სემინარები. კოორდინატორები ცდილობენ ასეთი სკოლები გახსნან საქართველოს ცხელ წერტილებშიც — აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ამ საკითხზე ინტენსიური მუშაობა და მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ზემოთ ხსენებულ თითოეულ სკოლაში 12 მწვრთნელი იმუშავებს. სახალისო ფეხბურთის პროგრამა სკანდინავიის ქვეყნების დანიის, შვედეთის და ნორვეგიის მთავრობათა მხარდაჭერით სარგებლობს, ვითარდება ბალკანეთის ქვეყნებში და საქართველოშიც სახელმწიფოებრივ მასშტაბებს იძენს. სახალისო ფეხბურთი ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას, მასობრიობას და ჩვენში სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანას ემსახურება.

# გელა კეტაშვილის პრიზზე

საქართველოდან ფეხბურთში ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გელა კეტაშვილის პრიზის გათამაშება მინიფეხბურთში ტრადიციად დამკვიდრდა. ტურნირში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის სამინისტროების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების და სასამართლო ორგანოების გუნდები. ორგანიზატორია საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების, საქართველოს სპორტსმენეთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი. პირველად 5 წლის წინათ ჩატარებული ტურნირი, ყოველწლიურად სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს და მონაწილეთა რიცხვიც იზრდება. წლეულს, მაგალითად, 2 ახალი გუნდი გამოჩნდა (ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი).

წლევანდელ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს გუნდები. 4-1 გაიმარჯვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა (მწვრთნელი თენგიზ ფანცულაია). მესამე საპრიზო ადგილისთვის დავაში ასევე ანგარიშით 4-1 უზენაესი სასამართლოს გუნდმა (ბაჩანა შენგელია) მოუგო ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ნაკრებს.

საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა ემზარ მოსულიშვილს (შსს), მცველის — გიორგი ფირცხალაიშვილს (თავდ. სამ), ნახევარმცველის — ბაჩანა შენგელიას (უზ. სას), თავდამსხმელის — თემურ გიორგაძეს (შსს).



გამარჯვებული გუნდი — ფოტო რობერტ ბაგოიანისა

# პირველი ლიგა

ივერია — ლოკომოტივი 3-0
ლუკა — ცხინვალი 1-4
გურია — ქობულეთი 1-1
დინამო 2 (თბ) — თსუ 1-0
ოლიმპი — ჩიხურა 2-2
სამგურალი — რუსთავი 1-0
მეტალურგი — მილანი 1-2
ვიტჯორჯია (მცხ) — ამერი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამგურალი | 27 | 15 | 7 | 5 | 34-16 | 52 |
| ქობულეთი | 26 | 16 | 3 | 7 | 46-24 | 51 |
| რუსთავი | 27 | 15 | 3 | 9 | 36-27 | 48 |
| დინამო2(თბ) | 26 | 14 | 4 | 8 | 64-30 | 46 |
| მილანი | 27 | 13 | 6 | 8 | 34-25 | 45 |
| ოლიმპი | 27 | 12 | 7 | 8 | 35-31 | 43 |
| ცხინვალი | 27 | 12 | 6 | 9 | 41-23 | 42 |
| გურია | 27 | 12 | 5 | 10 | 35-34 | 41 |
| ჩიხურა | 27 | 12 | 5 | 10 | 34-26 | 41 |
| ვიტჯორ.(მცხ) | 27 | 11 | 8 | 8 | 29-19 | 41 |
| ამერი | 27 | 11 | 7 | 9 | 31-22 | 40 |
| თსუ | 27 | 11 | 7 | 9 | 45-28 | 40 |
| ივერია | 26 | 10 | 5 | 11 | 22-35 | 35 |
| ლოკომ (ს) | 27 | 6 | 1 | 20 | 18-67 | 19 |
| ლუკა | 26 | 5 | 1 | 20 | 25-62 | 16 |
| მეტალურგი | 27 | 1 | 1 | 25 | 14-81 | 4 |

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „სპარტაკის" ფეხბურთელს აკაკი დევაძეს მამის გარდაცვალების გამო.

# ქართული ფეხბურთი არგენტინული აქცენტით


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო პატარქალაშვილი

პირველი გვერდიდან

თქვამს საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის განვითარებასა და ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბის უმაღლეს ევროპულ დონეზე მომზადებაში.

● ***რა რეაგირება მოჰყვა თქვენს მცდელობას?***

— საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ბატონი ირაკლი ჩუბინიშვილის №366/15 და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის №220 19.04.2004 წლის დავალების თანახმად, 28 აპრილს შევხვდი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს, ბატონ თამაზ თევზაძეს.

● ***შედეგი?***

— ბატონი თამაზი, უპირველესად დაინტერესდა კაიეტანო როდრიგესის სამუშაო პროგრამებით, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგენს საქართველოში. გავაცანი როდრიგესის მოღვაწეობის ბიოგრაფია, საქართველოს პრესაში გამოქვეყნებული მისი და სესარ ლუის მენოტის ინტერვიუები და წერილები.

● ***როდრიგესს აცნობეთ ამ შეხვედრის შესახებ?***

— როდრიგესთან მუდმივი კავშირი მაქვს და, რა თქმა უნდა, ამ შეხვედრის შესახებაც უმალვე ვაცნობე.

რაც შეეხება ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთისა და ერთ-ერთი კლუბის ევროპულ უმაღლეს დონეზე მომზადების პროგრამებს, როდრიგესმა მზადყოფნა გამოთქვა ქართული მხარის მოწვევის შემთხვევაში ჩამოვიდეს საქართველოში მიმდინარე წლის მაისის თვეში და გააცნოს სამუშაო პროგრამები საქართველოს მთავრობის შესაბამის სტრუქტურებს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, მასმედიას.

აგრეთვე, სურვილი გამოთქვა საქართველოს ერთ-ერთი სატელევიზიო არხით გამოვიდეს და გააცნოს თავისი გეგმები ფეხბურთის ქართველ ქომაგებს.

● ***კულტურისა და სპორტის მინისტრს გიორგი გაბაშვილს თუ შეხვედრიხართ?***

— დიახ, შევხვდი და ყველაფერი გავაცანი.

● ***ამჟამად, რა სტადიაშია როდრიგესის მოწვევის საკითხი?***

— ბატონმა თამაზმა, საკითხის განხილვა დაავალა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი მეძმარიაშვილს.

● ***ბატონო ნიკო, როდრიგესის მოწვევა, ეს ხომ დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული?***

— საერთოდ, არგენტინელი მწვრთნელები, რა თქმა უნდა, ძვირად ფასობენ, მაგრამ, როდრიგესმა გაითვალისწინა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პირობები. ამიტომ მისი და ორი დამხმარე სპეციალისტის (სამი კაცის) ხარჯები ერთი საშუალო ევროპელი მწვრთნელის ანაზღაურებას არ აღემატება. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ როდრიგესის მოწვევა ერთ-ერთ საფეხბურთო კლუბში, ეკონომიკურად გააძლიერებდა არა მარტო ამ კლუბს, არამედ მომგებიანი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტისთვისაც.

● ***როგორ დაითანხმეთ როდრიგესი საქართველოში ჩამოსვლაზე?***

— ამ საკითხზე ზუსტად სამი თვე ვეწეოდი მოლაპარაკებებს. დამთანხმდა თუ იქნებოდა საქართველოს მხრიდან სახელმწიფო მხარდაჭერა. ასეთი დონის კვალიფიციური მწვრთნელები მხოლოდ ასეთ გარანტიებს ითხოვენ და ამიტომაც მივმართე საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს.

როდრიგესს კარგად ახსოვს 1981 წლის თბილისის „დინამო", ნანახი აქვს ყიფიანის, ჩივაძის, სულაქველიძისა და სხვა ფეხბურთელების ბრწყინვალე თამაშები. ასევე, სსრკ-სა და არგენტინის ნაკრებ გუნდებს შორის 1961 წელს გამართული ამხანაგური შეხვედრა ქალაქ ბუენოს აირესში. როდრიგესმა განსაკუთრებით აღნიშნა მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის ბრწყინვალე თამაში. ასევე, თვალყურს ადევნებს დღეს ევროპის კლუბებში მოასპარეზე ქართველ ფეხბურთელებს.

● ***ზემოთ აღნიშნეთ, რომ როდრიგესის პროგრამები ითვალისწინებს ერთ-ერთი კლუბის ევროპის უმაღლეს დონეზე მომზადებას. ხომ არ გაუჭირდება საქართველოში მუშაობა, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა კარგი ფეხბურთელი საქართველოდან ევროპის კლუბებში გადადის?***

— როდრიგესის მოწვევის საკითხი თუ გადაწყდა, ისევ ვიხილავთ, როგორც ეს წარსულში იყო, თბილისის „დინამოს" მსგავს შემტევ სანახაობრივ ფეხბურთს, ქომაგებით სავსე სტადიონებს. როდრიგესი ფეხბურთის თამაშებს კი არა, ფეხბურთის სპექტაკლებს გვპირდება.

არგენტინის კლუბებში, სადაც კვალიფიციური ფეხბურთის სპეციალისტები არიან მიწვეულნი, თავს იყრიან სპონსორების ჯგუფები. ეჭვი არ მეპარება, თუ როდრიგესის მოწვევის საკითხი დადებითად გადაწყდება, ჩვენი თანამემამულეებიდანაც გამოჩნდებიან მსგავსი პატრიოტები, რომლებიც დიდ წვლილს შეიტანენ ქართული ფეხბურთის განვითარებაში... რაკი ამაღლდება საფეხბურთო დონე საქართველოში, ჩვენები უცხოეთის კლუბებში სათამაშოდ კი არ გაემგზავრებიან, უცხოელ ფეხბურთელებს მოესურვებათ საქართველოში თამაში.

● ***თქვენ არგენტინაში გიხდებოდათ მოღვაწეობა. როგორ აფასებენ არგენტინელი ქომაგები როდრიგესის ღვაწლს სესარ ლუის მენოტთან ერთად 1978 წელს ეროვნული ნაკრებისათვის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში?***

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ფეხბურთი არგენტინაში რელიგიის დონეზეა აყვანილი. 1978 წელს მიღწეული წარმატება არგენტინელი ხალხისთვის ხომ პირველი ეროვნული გამარჯვება იყო. სესარ ლუის მენოტი და როდრიგესი დღესაც არა მარტო ეროვნულ გმირებად რჩებიან, არამედ, მათი გამოჩენა ბუენოს აირესის ქუჩებში განსაკუთრებულ ყურადღებასა და პატივისცემას იწვევს არგენტინელ ხალხში.

ამას წინათ არგენტინიდან დამიკავშირდა საფეხბურთო კლუბის „ბოკა ხუნიორსის" საქმიანი წრეების წარმომადგენელი ბატონი რაულ პედრო მარტინი, რომელიც განცვიფრებით მეკითხებოდა: „ნიკო, გავიგე, რომ წარმოადგენ როდრიგესსო, ჩემთვის, როგორც შენი მეგობრისთვის, სასიხარულოა, რომ გსურთ ეს დიდი სპეციალისტი მიიწვიოთ საქართველოში, მაგრამ ძალიან გთხოვ მაცნობე, როგორ გაიცანი და როგორ დაუახლოვდი მას"?

ამას წინათ, საფეხბურთო კლუბების „ბოკა ხუნიორსისა" და „ინდეპენდიენტეს" ყოფილი ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი, ხოსე ომარ პასტორიზას წარმომადგენელი ადვოკატი ორასიო ლუის როჟაც დამიკავშირდა არგენტინიდან და მომილოცა, რომ მე არგენტინის საფეხბურთო წრეებისათვის საპატიოდ მიღებულ პიროვნების, „დიდ" კაიეტანოს წარმომადგენელი ვარ.

● ***თუ ყოფილა მიწვეული როდრიგესი უცხოეთის საკლუბო გუნდებში. რა მიღწევები აქვს და თუ თამაშობენ მისი გაწვრთნილები ევროპის საკლუბო გუნდებში?***

— 1987 წელს როდრიგესი მექსიკაში, უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე საფეხბურთო კლუბ „ამერიკაში" მიიწვიეს. კლუბმა, იმ წელსვე მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. მისი თავკაცობით კლუბი ასევე გახდა „აცტეკასა" და „კონკაკაფის" თასების მფლობელი. რაც შეეხება ფეხბურთელებს, ამჟამად მისი გაწვრთნილები თამაშობენ ესპანეთის უმაღლესი „ბ" დივიზიონის საფეხბურთო კლუბ „ლეგანეზში" ესენია: მარინი, მარიო ტურდი და მაურო ნაბასი. ამ კლუბს თავკაცობს მსოფლიო სამგზის ჩემპიონი მწვრთნელი ახალგაზრდებში, არგენტინის ახალგაზრდული ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, როდრიგესის უახლოესი მეგობარი, ხოსე ნესტორ პეკერმანი. აგრეთვე, არგენტინელი ფერნანდო რედონდო, რომელიც იტალიის მილანში კახი კალაძესთან ერთად თამაშობს, რედონდოს კალაძისთვის როდრიგესი დაუხასიათებია როგორც უმაღლესი დონის სპეციალისტი.

● ***კიდევ თუ გვეტყოდით რამეს?***

— ქართველ ხალხს მოენატრა კარგი ფეხბურთის ხილვა და სწორი ნაბიჯი იქნებოდა თუ როდრიგესს მოვიწვევდით საქართველოში. საქართველოში ფეხბურთის დონის ამაღლების გარდა, იგი ხელს შეუწყობდა ჩვენს ქვეყანასა და არგენტინას შორის კულტურული და საქმიანი ურთიერთობების განვითარებას.

ესაუბრა თ. თომაშვილი.

# ბავშვთა ფეხბურთი

„ევროპის დღისადმი" მიძღვნილმა საფეხბურთო ტურნირებმა მე-5-6 და მე-7-8 კლასის მოსწავლეთა შორის, დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენს დედაქალაქში. ისნის რაიონის გუნდებს სპორტული პროფილის 25-ე სკოლის მოედანმა უმასპინძლა..

ადგილები ასე განაწილდა: მე-5-6 კლ. 1. 87-ე სკ. (დირექტორი დ. ჭეიშვილი, ფიზ. აღ. მასწ. ა. მეტრეველი), 2. 163-ე სკ. (ა. ლამბაშიძე, გ. აბრამიძე), 3. მე-40 სკ. (თ. ბარბაქაძე, მ. გოდერძიშვილი): მე-7-8 კლ. – 1. 87-ე სკ. 2. 90-ე სკ (ნ. ხიდაშელი), შ. ყაჭეიშვილი, 3. მე-40 სკ.


87-ე სკ. მე-5-6 კლ.

ფოტოები რობერტ ბაგოიანისა


90-ე სკ. მე-7-8 კლ.


163-ე სკ. მე-5-6 კლ.


40-ე სკ. მე-7-8 კლ.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ძველი „მაგდებურგი“...

ჩემპიონთა თასის ისტორიიდან

**30 წლის წინ, 1974 წლის 8 მაისს, მაშინდელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთი პატარა ქალაქის კლუბმა „მაგდებურგმა“ საფეხბურთო სამყაროში სასწაული მოახდინა: ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში დაამარცხა იტალიური ფეხბურთის გრანდი „მილანი“ (2-0) და გახდა პირველი და უკანასკნელი კლუბი გდრ-დან, რომელმაც მოიპოვა ევროპული თასი.**

მას შემდეგ 30 წელი გავიდა. წელს მილანმა „სკუდეტო“ მოიპოვა, ხოლო „მაგდებურგი“ გერმანიის მეოთხე დივიზიონში — ობერლიგაში გავარდა.

„გული საშინლად მტკივა, როცა ვხედავ, თუ რა ემართება ჩემს კლუბს გერმანიის გაერთიანების შემდეგ“, — ამბობს მარტინ ჰოფმანი, რომლის ცხოვრების უდიდესი ნაწილი „მაგდებურგთან“ არის დაკავშირებული. მან, როგორც მოთამაშემ, მთელი კარიერა „მაგდებურგის“ შემადგენლობაში გაატარა. ბუცები ლურსმანზე რომ ჩამოკიდა, გუნდში სკაუტად დაიწყო მუშაობა, შემდეგ მთავარ მწვრთნელადაც. ჰოფმანის უდიდესი მიღწევა სწორედ „მილანთან“ მოპოვებული გამარჯვება იყო. ის მხოლოდ 19 წლის იყო მაშინ...



1974 წელი. ჩემპიონთა თასი ფინალი. ბურთისთვის იბრძვის ჰოფმანი (თეთრ მაისურში)

სერია „ა“-ს გრანდი, რა თქმა უნდა, ფავორიტად ითვლებოდა. „მაგდებურგის“ ფეხბურთელებისათვის ფინალში გასვლაც დიდი წარმატება იყო და დასაკარგი არაფერი ჰქონდათ. ჯოვანი ტრაპატონის შეგირდებმა ვერაფერი დაუპირისპირეს „მაგდებურგის“ ახალგაზრდული გუნდის შეტევებს და დამარცხდნენ.

მეორე ტაიმის დასაწყისში, ლანძიმ ანგარიში გახსნა, 73-ე წუთზე კი ვოლფგანგ სეგენმა გამოიჩინა თავი.

„იტალიელები მოელოდნენ, რომ დაცვით ტაქტიკას ავირჩევდით, მაგრამ ჩვენ ჩვეული სტილით ვითამაშეთ და თავგანწირული ბრძოლით მოვიპოვეთ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი“ — იხსენებს ჰოფმანი.

იმ პერიოდში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები ჰელმუტ შიონის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებას აღწევდა და ერთ-ერთი უძლიერესი იყო მსოფლიოში. ჰოფმანმა 66 მატჩი ჩაატარა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში და აცხადებს, რომ 70-იან წლებში ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილშიც კარგად თამაშობდნენ ფეხბურთს. „70-იანი წლები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკას ოქროს ხანა ედგა ფეხბურთში, — ამბობს ჰოფმანი. — „მაგდებურგმა“ თასი რომ მოიპოვა, იმავე წელს გდრ-ის ნაკრები პირველად ისტორიაში, გავიდა მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, სადაც დაამარცხა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი გფრ-ის გუნდი (1-0). 1976 წელს კი ოლიმპიური ოქროს მედლები მოვიპოვეთ მონრეალში“.

1974 წლის შემდეგ „მაგდებურგი“ წარმატებით აგრძელებდაასპარეზობას გდრ-ის ჩემპიონატებში: სამჯერ მოიპოვა ოქროს მედლები და 7-ჯერ — ქვეყნის თასი.

1990 წელს, როცა გერმანია გაერთიანდა, გუნდის მოთამაშეები ქვეყნის აღმოსავლეთში მოასპარეზე საუკეთესო ფეხბურთელებთან ერთად დასავლეთის კლუბებში გადაბარგდნენ. თვით „მაგდებურგი“ ვერ შეეგუა ახალ პირობებს, ვერც მეორე ბუნდესლიგაში მოიკიდა ფეხი და ამით მისი „ოქროს ხანაც“ დასრულდა. ამის მიუხედავად, „მაგდებურგს“ არ შეუწყვეტია არსებობა და არ გაუზიარებია გდრ-ის უძლიერესი გუნდების — ბერლინის „დინამოსა“ და ლაიფციგის „ლოკომოტივის“ ბედი. ჰოფმანის თქმით წარუმატებლობათა სერიის მიუხედავად, „მაგდებურგს“ მაინც ჰყავს ერთგული გულშემატკივრები. „მათი მხრიდან ინტერესი შენელდება, თუ ყველა ღონე არ ვიხმარეთ ძველი ტრადიციების დაბრუნებისათვის“, — განაცხადა ჰოფმანმა.

„მაგდებურგს“ ამჟამად გააჩნია შესანიშნავი ბავშვთა საფეხბურთო სკოლა. კლუბის ხელმძღვანელობა აპირებს, მომავლისათვის შემადგენლობის გაძლიერებასა და ახალი სტადიონის აშენებას, რომელიც 25 ათას მაყურებელს დაიტევს და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებს უმასპინძლებს.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოპოვების 30-წლიან იუბილესთან დაკავშირებით, „მაგდებურგის“ 1974 წლის შემადგენლობა ამხანაგურ მატჩში შეხვდა აღმოსავლეთ გერმანიის ვეტერანთა ნაკრებს... ჰოფმანს იმედი აქვს, რომ ეს არის დასაწყისი ძველი პოზიციების აღდგენისა.

ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატებზე

## „ვალენსია“ ესპანეთის ჩემპიონია!

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის 36-ე ტურში ნამდვილი სენსაცია მოხდა. მადრიდის „რეალმა“ საკუთარ მოედანზე, ყველასათვის მოულოდნელად მარცხი იწვნია „მალიორკასთან“ შეხვედრაში — 2-3.**

უკვე მეათე წუთზე ეტოომ დააწინაურა სტუმრები. მართალია პავონმა 7 წუთში მოახერხა წონასწორობის აღდგენა, მაგრამ ისევ ეტოოს წყალობით „მალიორკა“ წინ გავიდა, რასაც კამპანიის მესამე გოლი მოჰყვა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა მხოლოდ ერთი საპასუხო გოლის გატანა მოახერხეს, ისიც თერთმეტმეტრიანით.



**„რეალი“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა:** კასილიასი, სალგადო, პავონი, რაულ ბრავო (კამბიასო, 70), რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექჰემი, ივან ელგერა, სოლარი (პორტილიო, 75), რაული, რონალდო.

„სამეფო კლუბის“ წარუმატებლობით ისარგებლა „ვალენსიამ“, სტუმრად, ვისენტესა და ბარსას გოლებით დაამარცხა „სევილია“ 2-0, რის შედეგადაც მიუწვდომელი გახდა „რეალისათვის“.

**„ვალენსიას“ შემადგენლობა:** კანისარესი, კარბონი, მარჩენა, კურო ტორესი, აიალა, ალბელდა, ვისენტე, ხორხე ლოპესი (ანგოლი, 73), ჩისკო, ოლივეირა, (ბარახა, 60), სისოკო (აიმარი, 78).

დამარცხდა „ბარსელონა“, რომელმაც სტუმრად ვერაფერი მოუხერხა პრიმერადივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად თავგანწირვით მებრძოლ „სელტას“ (0-1).

**სხვა მატჩები:** „ბილბაო“ — „ალბასეტე“ 1-1, „ესპანიოლი“ — „დეპორტივო“ 2-0, „ვალიადოლიდი“ — „სოსიედადი“ 2-2, „სარაგოსა“ — „ოსასუნა“ 1-0, „ვილიარეალი“ — „ბეტისი“ 1-0, „მალაგა“ — „მურსია“ 1-0, „რასინგი“ — „ატლეტიკო“ 2-2. „ვალენსიას“ 77 ქულა აქვს, „რეალს“ — 70, ხოლო „ბარსელონა“ 69 ქულით მესამე ადგილზეა.

## „ვერდერმა“ მიუნხენის „ბაიერნი“ გაათავა

**გერმანიის ბუნდესლიგის 32-ე ტურში შედგა ცენტრალური შეხვედრა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც „ბაიერნმა“ უმასპინძლა ბრემენის „ვერდერს“.**

ოლივერ კანსა და მის თანაგუნდელებს აუცილებლად გამარჯვება ესაჭიროებოდათ, რათა ქულათა სხვაობა შეემცირებინათ ერთპიროვნულ ლიდერთან — „ვერდერთან“. სტადიონზე შეკრებილმა 63 ათასმა გულშემატკივარმა „ვერდერის“ ბრწყინვალე თამაში იხილა, რომელიც 35-ე წუთისათვის უკვე 3-0 იგებდა! დარჩენილ დროში მასპინძლებმა მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს და... საფინალო სასტვენის შემდეგ „ვერდერი“ ჩემპიონობას ზეიმობდა! ბრემენელები ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მიუწვდომელნი გახდნენ მიუნხენელთათვის.

**გუნდების შემადგენლობა:**

**„ბაიერნი“:** კანი, სალი ჰამიჯიჩი, იერემისი, ლინკე, ლიზარაზუ, შვაინშტაიგერი (სანტა კრუსი, 46), ჰარგრივსი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, პიძარო.

**„ვერდერი“:** რინკე, სტალტერი, ისმაელი (ლაგერბლომი, 71), კრსტაიჩი, შულცი (სკრიპნიკი, 56), ბოროვსკი, ბაუმანი, ერნსტი, მიკუ, კლასნიჩი, (ვალდერი, 87), აილტონი.

**სხვა მატჩები:** „ჰერტა“ — „დორტმუნდი“ 6-2, „მიონხენგლადბახი“ — „შალკე“ 2-0, „ჰამბურგი“ — „შტუტგარტი“ — 2-1, „ლევერკუზენი“ — „კიოლნი“ 2-0, „კაიზერსლაუტერნი“ — „ვოლფსბურგი“ 3-2, „ჰანოვერი“ — „აინტრახტი“ 3-0 „ბოხუმი“ — „ფრაიბურგი“ 3-0, „ჰანზა“ — „მიუნხენი“ 3-0.

## რონალდ დე ბურს ევროპის ჩემპიონატზე თამაში სწყურია

მას შემდეგ, რაც ჰოლანდიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა ბერძნებთან ამასწინანდელ ამხანაგურ მატჩში სასპარეზოდ არ გამოიძახა, „რეინჯერსის“ ნახევარმცველს რონალდ დე ბურს სრულად გადაეწურა იმედი ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებისა. არადა, 33 წლის რონალდ დე ბურისათვის წლევანდელი სეზონი წარმატებული გამოდგა... მას იმედი ჰქონდა, რომ თავის კარიერას ევრო-2004-ში გამოსვლით დაასრულებდა.

„მე ფეხბურთით ვცხოვრობ და დღეისათვის შესანიშნავ სპორტულ ფორმაში ვარ. თუკი მომცემენ შანსს და გამომიძახებენ ჰოლანდიის ნაკრებში, მთელ ძალას მას შევალევ და კონტინენტის უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებაში თავს არ შევირცხვენ,“ — ამბობს რონალდ დე ბური.

რონალდის ტყუპისცალი ძმა — ფრანკ დე ბური ითამაშებს პორტუგალიაში. „ჩვენ ორივეს რომ მოგვცენ ერთად თამაშის საშუალება, ყველას დავანახვებ, რომ ჰოლანდიის ნაკრებისათვის სასარგებლო ფეხბურთელი ვარ. საწყენია, რომ ადვოკაატი ყურადღებას არ მაქცევს“, — თქვა რონალდ დე ბურმა.

ამ ფეხბურთელს მართლაც დიდი გამოცდილება აქვს მიღებული. რონალდ დე ბური ჰოლანდიის ნაკრების ღირსებას ევრო-2000-სა და მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე იცავდა. ამ უკანასკნელში ჰოლანდიელებმა ნახევარფინალამდე მიაღწიეს, სადაც პენალტების სერიაში დამარცხდნენ ბრაზილიის ნაკრებთან. რონალდმა თავისი პენალტი ვერ გამოიყენა, თუმცა თვლის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან კარგად ითამაშა.

ცნობილი გახდა, რომ რონალდ დე ბური აპირებს, მომავალში კატარის ერთ-ერთ კლუბში გააგრძელოს თამაში. „ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია, ფინანსური პირობებიც შევათანხმე მომავალი კლუბის ხელმძღვანელობასთან. დარჩა მხოლოდ ერთი პროცესი გასავლელი — კონტრაქტზე ხელის მოწერა“, — ამბობს რონალდ დე ბური. მანამდე კი ის, თუ ადვოკაატმა არ მოიწვია ჰოლანდიის ნაკრებში, პორტუგალიაში მაინც გაემგზავრება, როგორც მშობლიური გუნდის რიგითი გულშემატკივარი.

## დიდიე დეშამი ფავორიტად „პორტუს“ თვლის

**ევროპის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ჩელსის“ დამარცხების შემდეგ „მონაკოს“ მთავარი მწვრთნელი დიდიე დეშამი თავს ბედნიერ კაცად თვლის და ახლა მოუთმენლად ელის ფინალურ მატჩს. გთავაზობთ დეშამის მიერ „სპორტ-ექსპრესისათვის მიცემულ ინტერვიუს.**

— სეზონის დასაწყისში „მონაკოს“ არ უსახავდნენ რაღაც განსაკუთრებულ მიზანს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის, რაც მოხდა, შემთხვევითობას სრულიად ვერ მივაწერთ. „ჩელსისთან“ მატჩის დროს ვინერვიულე მაშინ, როცა ანგარიში 2-0 იყო აბრამოვიჩის გუნდის სასარგებლოდ, — ამბობს დიდიე დეშამი.

● ***რომელი იყო გარდატეხის მომენტი „ჩელსისთან“ მატჩში?***

— რაღა თქმა უნდა, პირველი საპასუხო გოლი „ჩელსის“ კარში პირველი ტაიმის უკანასკნელ წამებზე, რამაც დაგვარწმუნა საკუთარ ძალებში. მორიენტესმა ბევრი მომენტი გააცუდა, მაგრამ ეს მისი საუკეთესო მატჩი იყო.

● ***რომელ გუნდს მიიჩნევთ ფავორიტად ჩემპიონთა ლიგის ფინალში?***

— „პორტუს“ და იცით, რატომ? ამ გუნდს აქვს გადამწყვეტ მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება. მათ შარშან ხომ უეფას თასი დაისაკუთრეს.

## ტელეტრანსლაციებს არ ჰყიდის

ფიფას ხელმძღვანელობამ უარი განუცხადა ციურიხში მოქმედ კომპანიას მსოფლიოს 2010 და 2014 წლების ჩემპიონატების ტელეტრანსლაციის უფლების მიყიდვაზე 1,6 მილიარდი ფუნტის ფასად. ფიფას მარკეტინგის უფროსმა ჟერომ ვალემ ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ასეთი საკითხების განხილვის დრო ჯერ არ დამდგარა.

## ბლატერი: „თავს ზემოთ ძალა არაა“



ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა, რომ ვერ დაუშლის აზიელებს ევროპული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების ყურებას. საქმე ის არის, რომ აზიის ფეხბურთის კონფედერაცია ითხოვს ევროპული მატჩების ტრანსლაციების აკრძალვას, რადგან აზიელი გულშემატკივრები ბოლო დროს აღარ დადიან მასიურად აზიის ქვეყნების ჩემპიონატების მატჩებზე დასასწრებად. მათ შინ ჯდომა ურჩევნიათ და ევროპული საფეხბურთო მატჩების ტელევიზიით ხილვა.

## იბარა: „ნამდვილად ხელით ვითამაშე“

**„ჩელსი“ — „მონაკოს“ შეხვედრაში იბარას მიერ გატანილმა გოლმა ბევრს ეჭვი გაუჩინა, რომ „მონაკოს“ არგენტინელმა ლეგიონერმა ხელით ითამაშა. მატჩიდან ორი დღის შემდეგ უგო იბარა ჟურნალისტებს გამოუტყდა: „მორიენტესის თავურის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა, შემდეგ ხელით შევეხე და გოლიც გავიტანე, მაგრამ ასე განგებ ნამდვილად არ გამიკეთებია, — ბურთი შემთხვევით მომხვდა ხელზე, თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ასე რომ არ ყოფილიყო, გოლს ვერ გავიტანდი“, — ამბობს იბარა, რომელიც დარწმუნებულია „მონაკოს“ საბოლოო წარმატებაში ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც.**

## ტაილანდის პრემიერ-მინისტრი „ლივერპულის“ აქციებს ყიდულობს

ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა ტაქსინ შინავატრამ განაცხადა, რომ უახლოეს პარასკევს შეიძენს ინგლისური საფეხბურთო კლუბ „ლივერპულის“ აქციათა 30 პროცენტს, რისთვისაც 100 მილიონი ფუნტი გაიღო.

„როიტერის“ ცნობით, გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ ტაილანდის პრემიერ-მინისტრი და „ლივერპულის“ საქმეთა მმართველი რიკ პერი, რომლებმაც მომავალი ხელშეკრულების პირობები საბოლოოდ დაადგინეს. დღეს კიდევ ერთი შეხვედრაა დაგეგმილი.

## რივალდო — «ბოლტონში»

**ინგლისური საფეხბურთო კლუბ „ბოლტონის“ პრეზიდენტმა ფილ გარტსაიდმა განაცხადა, რომ ბრაზილიის ნაკრების მოთამაშეს, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონს რივალდოს მის გუნდში თამაში სურს.**

**„კვირას რივალდომ გამოგვიგზავნა ფაქსი, რომელშიც გამოხატავს სურვილს, მომავალი სეზონიდან დაიცვას „ბოლტონის“ ღირსება“, — ამბობს გარტსაიდი.**

## იანკერი „კაიზერსლაუტერნში“ გადადის

გერმანიის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ კარსტენ იანკერმა, რომელიც ბოლო პერიოდში იტალიურ „უდინეზეს“ ღირსებას იცავდა, ხელი მოაწერა წინასწარ სამწლიან კონტრაქტს „კაიზერსლაუტერნთან“.

ისიც ცნობილი გახდა, რომ „კაიზერსლაუტერნის“ რიგებს მალე დატოვებს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი მიროსლავ კლოზე.

## ლიპი „იუვენტუსის“ გულშემატკივრებს გამოეთხოვა

**კვირას, „იუვენტუსმა“ წლევანდელი სეზონის ბოლო მატჩი ჩაატარა საკუთარ მოედანზე მწვრთნელის მარჩელო ლიპის ხელმძღვანელობით. ეს უკანასკნელი თვალცრემლიანი გამოეთხოვა ტურინელ გულშემატკივრებს. „რვა წელი გავატარე „იუვენტუსში“ და მინდა მადლობა გადავუხადო შესანიშნავ გულშემატკივრებს, რომლებიც მხურვალედ უჭერენ მხარს საყვარელ გუნდს. მათ ვუსურვებ, რომ „იუვენტუსის“ კიდევ მრავალი გამარჯვება იზეიმონ“, — განაცხადა მარჩელო ლიპიმ.**

## «ფენერბახჩე» თურქეთის ჩემპიონია

თურქულმა საფეხბურთო კლუბმა „ფენერბახჩემ“ მეთხუთმეტედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. კვირას, ამ გუნდმა სტუმრად „დენიზლი“ გაანადგურა 4:0 და ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე მიუწვდომელი გახდა მდევრებისათვის.

# ნბა



## „ლეიკერსმა" გამოიღვიძა!

ნბა-ს ფლეი-ოფის მეოთხედფინალური მატჩების სერიაში „ლეიკერსი" 0-2 იგებდა სან-ანტონიოსთან". მესამე მატჩი ლოს-ანჯელესში გაიმართა და მასპინძლებმა შესანიშნავი თამაში აჩვენეს. „ლეიკერსმა" გაიმარჯვა 105:81. მოედანზე საუკეთესონი იყვნენ „ლეიკერსში" მოთამაშე შაკილ ო'ნილი (28 ქულა) და კობი ბრაიანტი (22). სტუმართაგან თავი გამოიჩინა ჯინობილმა (17). „ნიუ-ჯერსიმ" მეოთხედფინალური სერიის მესამე მატჩში პირველად შეძლო „დეტროიტის" დამარცხება 82:64 და საერთო ჯამშიც ანგარიში შეამცირა — 1:2.

„ნიუ-ჯერსის" წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა რიჩარდ ჯეფერსონმა, რომელმაც გუნდს 30 ქულა შესძინა.

## ბორის მიხაილოვი – ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტი

**პრაღაში ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაასახელეს ამ რანგის ტურნირების ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე. ეს ტიტული წილად ხვდა მსოფლიოს 8 გზის ჩემპიონსა და ოლიმპიური თამაშების ორგზის ოქროსმედალოსანს ბორის მიხაილოვს.**

გარდა ამისა, დასახელდა მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრებები, რომელიც ასე გამოიყურება:

პირველი სიმბოლური ნაკრები: მეკარე — ჰენრიკ ლუნდკვისტი (შვედეთი), მცველები — ზდენო ჰარა (სლოვაკეთი), დიკ ტერსტრემი (შვედეთი), თავდამსხმელები — ჰიტლი (კანადა), ვილე პელტონენი (ფინეთი), იარომირ იაგრი (ჩეხეთი).

მეორე სიმბოლური ნაკრები: მეკარე — იან ლაშაკი (სლოვაკეთი), მცველები — სკოტ ნიდერმაიერი (კანადა), რიჰარდ ლინტნერი (სლოვაკეთი), თავდამსხმელები: დანიელ ალფრედსონი (შვედეთი), პავოლ დემიტრა (სლოვაკეთი), რიჩარდ პარკი (აშშ). საუკეთესო გოლკიპერად აღიარეს ამერიკელი ტაი კონკლინი. საუკეთესო მცველად — დიკ ტერნსტრემი, ხოლო საუკეთესო თავდამსხმელად — დენი ჰიტლი.

## მიხაელ შუმახერმა ნაიჯელ მენსელის რეკორდი გაიმეორა

**მიხაელ შუმახერმა მიმდინარე სეზონში „ფორმულა 1"-ის ზედიზედ მეხუთე ეტაპი მოიგო. ამჯერად გამარჯვება ესპანეთის „გრან-პრის" გათამაშებაში მოიპოვა. ამით „ფერარის" პილოტმა გაიმეორა ნაიჯელ მენსელის 1982 წლის რეკორდი. ესპანეთში მიღწეული წარმატებით, შუმახერმა უკვე სერიოზული ნაბიჯი გადადგა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მეშვიდედ მოპოვებისაკენ.**

კვირას გამართულ მეხუთე ეტაპზე პრობლემები შეექმნათ მიხაელ შუმახერის კონკურენტებს — ჯენსონ ბატონსა და ხუან პაბლო მონტოიას.

საინტერესოა, რომ რბოლის დასაწყისში იარნო ტრულიმ შეძლო გადაესწრო მიხაელ შუმახერისათვის, მაგრამ პირველ პოზიციაზე დიდხანს ვერ გაძლო: „რენოს" პილოტს თანდათან წამოეწია მსოფლიო ჩემპიონი. ბოქსებში შევლის შემდეგ კი მიხაელ შუმახერი დაწინაურდა და ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა. გამარჯვებულის დრო 1 საათი, 27 წუთი და 32, 841 წამია. მეორე ადგილზე გავიდა მიხაელის თანაგუნდელი რუბენს ბარიკელო, ხოლო მესამეზე — იარნო ტრული.



კვლავ წარუმატებლად იასპარეზეს „მაკლარენის" პილოტებმა დევიდ კულტჰარდმა და კიმი რაიკონენმა, რომლებმაც შესაბამისად მეათე და მეთერთმეტე ადგილები დაიკავეს.

რაც შეეხება „უილიამსის" პილოტს ხუან პაბლო მონტოიას, ამ უკანასკნელმა ფინიშამდეც ვერ მიაღწია.

## კანადელებმა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგეს

**კანადის ჰოკეისტთა ნაკრებმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. გადამწყვეტ მატჩში ოკეანის გაღმელებმა შვედებს აჯობეს 5-3. მატჩის გმირი გახდა დენი ჰიტლი, რომელიც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს. მან 8-ჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი და 3 შედეგიანი გადაცემაც გაიტანა. ფინალურ მატჩში მის ანგარიშზე ერთი შაიბაა. კანადის ნაკრები შვედებთან ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდა: ლუონგო, ბრიუერი – სტეიორი, უილიამსი – ფრიზენი – ბერჟერონი, მორისი – შულტცი, მიურეი – მორისონი – კუკი, ბაუმისტერი– ს. ნიდერმაიერი, სმიტი – რ. ნიდერმაიერი – ჰორკოფი, ბრიერი – ჰიტლი – მოროუ, მიტჩელი, დიუმონი.**

## ვიდრე თამბაქოს რეკლამას აკრძალავენ



**ცნობილია, რომ „ფორმულა 1"-ის მსოფლიო ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის თამბაქოს რეკლამისაგან. ფინანსების მოზიდვის ამ მხარეს საფრთხე ელის რამდენიმე წელიწადში.** საქმე ის არის, რომ მთელ რიგ ქვეყნებში თანდათან კრძლავენ თამბაქოს რეკლამას. იგივე ზომებს რამდენიმე წელიწადში ევროკავშირის წევრი ქვეყნებშიც მიიღებენ. ეს კი აღელვებს „ფორმულა 1"-ის ხელმძღვანელს ბერნი ეკლსტოუნს. უკვე გაირკვა, რომ ესპანეთის „გრან-პრი" 2011 წლამდე ჩატარდება. ეკლსტოუნის სიტყვებით, სამწუხარო ფაქტია, რომ თამბაქოს რეკლამის საკითხს გადაწყვეტა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ. „ფორმულა 1"-ის ხელმძღვანელი მაინც იმედოვნებს, რომ ევროპა არ დაემშვიდობება ავტორბოლებს.

## ბრიუსტერი კლიჩკოს ბრალდებებს უარყოფს

ლეიმონ ბრიუსტერისა და ვლადიმირ კლიჩკოს შორის ვბო-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის გამართული ბრძოლის შემდეგ აგორდა სკანდალი.. — თითქოსდა უკრაინელ მოკრივეს სასმელში მოწინააღმდეგის ბანაკის წევრებმა შეაპარეს ნივთიერება, რამაც უარყოფითად იმოქმედა მასზე და ამიტომაც დამარცხდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ კლიჩკოს ორგანიზმში ექიმებმა შიზოფრენიის სამკურნალო პრეპარატის ნაკვალევი აღმოაჩინეს, რამაც გამოიწვია მოკრივის ორგანიზმის მოდუნება, თუმცა ორიოდე დღის წინ ეს ინფორმაცია უარყო სპეციალური გამომკვლევი კომისიის ხელმძღვანელმა მარკ რატნერმა.

კლიჩკოს მხრიდან ბრალდებებს, ბრიუსტერის ბანაკის წევრთა მძაფრი რეაქცია მოჰყვა. თვით ლეიმონის მენეჯერმა სემ სეიმონმა განაცხადა: „ყველამ კარგად დავინახეთ, თუ რა მოხდა რინგზე. კლიჩკო დამარცხდა და იცით, რატომ? — ბრიუსტერს ჩემპიონის გული აქვს და მან დამსახურებულად გაიმარჯვა", — ამბობს სეიმონი, — ასე რომ, კლიჩკოს ბანაკის ბრალდებები უსაფუძვლოა. თავად უკრაინელს ვურჩევთ, ასეთი ქმედებებისაგან თავი შეიკავოს, რათა კრივის სამყაროში საკუთარი იმიჯი არ შეილახოს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**11 მაისი, სამშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. იმედი.** „გოლი" (11.25), „გოლი" სერია „ა" (1.10); ***НТВ плюс футбол.*** უკრაინის ჩემპიონატი. „დნეპრი" — „მეტალურგი" (14.00), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.45), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.00), „ფუტბოლ მუნდიალი" (18.00), რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (18.30), ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა (19.30, 1.00), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.05), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.00), „განვლილი კვირის ჰიტ-პარადი" (23.00), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატები, მიმოხილვა (4.00, 4.30, 5.00, 7.30, 8.00); ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირი იაპონიაში. ქალები. რუსეთის ნაკრები — კორეის ნაკრები, (8.55, 19.15), ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს" (12.15), ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი (14.35, 23.00), ბილიარდი. 16 უძლიერესის ტურნირი „პირამიდაში" (17.15), კარატე. ევროპის ჩემპიონატი (17.45), ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს" (1.30); EUROSPORT. ფეხბურთი. ევრო-2004-ის ჩემპიონთა შთამომავლობა (11.30), ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (12.00, 14.00, 14.30, 20.30), ფეხბურთი: უეფა. ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი (15.30), ევროგოლები (16.30), პლანეტა ევრო (17.30), ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია (18.00), კრივი. პროფესიონალები (23.00, 0.00), ევროსპორტის ახალი ამბები (3.00), ფეხბურთი: პლანეტა ევრო (3.15), უეფა. ევროპის ისტორიებიდან (3.45).

**12 მაისი, ოთხშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. ეგრიკა.** „სპორტის სამყარო" (19.00), **იმედი.** პროგრამა „გოლი" სერია „ა" (11.05), კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატის ფინალური სერია (15.15); ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი: მატჩების მიმოხილვა (13.15), მერვედფინალის საპასუხო მატჩი (13.45, 21.10), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.25), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.35), „ფუტბოლ მუნდიალი" (17.35), რუსეთის თასი. ნახევარფინალები. „კრილია სოვეტოვი" — „ტორპედო-მეტალურგი" (18.50), „შინიკი" — „ტერეკი". (22.55), რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.50), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.50), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატები, მიმოხილვა (4.00, 4.30, 5.00, 7.30, 8.00); ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირი. ქალები. ტაივანის ნაკრები — რუსეთის ნაკრები (11.00, 19.15), ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს" (12.50), სპორტული ცეკვები. საგაზაფხულო გრან-პრი (16.10), კარატე. ევროპის ჩემპიონატი (17.30), „ათენის გზით" (21.00), ბრძოლა წესების გარეშე (23.00), ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს" (1.20), ჰოკეი. სტენლის თასი. პირდაპირი ტრანსლაცია (4.00); EUROSPORT. ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (12.00, 14.00, 20.30, 23.45, 0.15), ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია (18.30), ფეხბურთი. 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (22.00), ევროსპორტის ახალი ამბები (1.00), საცხენოსნო სპორტი. სამსუნგის თასი (1.30), ფეხბურთი. უეფა. ევროპის ისტორიებიდან (4.00).

**13 მაისი. ხუთშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. ეგრიკა.** „სპორტის სამყარო" (19.00), იმედი. კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალური სერია (15.15), სპორტული „ესტაფეტა" (23.00); ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი. მერვედფინალის საპასუხო მატჩები (13.15, 22.35), რუსეთის თასი. ნახევარფინალები. „შინიკი" — „ტერეკი" (15.00), „კრილია სოვეტოვი" — „ტორპედო-მეტალურგი" (20.00), „განვლილი კვირის ჰიტ-პარადი" (17.45), „ფუტბოლ მუნდიალი" (21.55), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.30), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.25), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი, მიმოხილვა (4.00, 4.30, 7.30, 8.00); ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს" (12.15, 1.30), ჰოკეი. სტენლის თასი (14.35, 23.00), ბრძოლა წესების გარეშე (19.05), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (22.00); EUROSPORT. ფეხბურთი. უეფა. ევროპის ისტორიებიდან (11.30), ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (12.00, 17.30, 22.30), ფეხბურთი. 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (14.30), ჩოგბურთი. „ვტა"-ს ტურნირი (16.00), ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია (18.30), კრივი. პროფესიონალები (23.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30), ევროსპორტის ახალი ამბები (2.00), საბრძოლო ხელოვნების საბრძოლო კლუბი (2.15), ფეხბურთი. უეფა. ევროპის ისტორიებიდან (4.00).

## პეტაკიმ „ჯირო დ'იტალიის" პირველი ეტაპი მოიგო

**პრესტიჟული ველომრბოლის – „ჯირო დ'იტალიის" პირველი ეტაპი იტალიელ ალესანდრო პეტაკის გამარჯვებით დასრულდა. პეტაკი, როგორც ცნობილია, გუნდ „ფასა ბორტოლის" ღირსებას იცავს.**

**საერთო ჩათვლაში ლიდერობს გერმანელი ოლაფ პოლაკი („ვეროლშტაინერი"), რომლის შედეგია 3 სათი, 50 წუთი და 24 წამი. მას ორი წამით ჩამორჩება ავსტრალიელი ველომრბოლი ბრაიან მაკჯი. მესამეზეა პეტაკი.**



## კროსვორდი №37

**თარაზულად:** 3. იტალიის საფეხბ. კლუბი, 5. სვლის პირდაპირი მიმართულება, ტურიზმის ტერმინი, 8. სპორტნაწარმის ცნობილი ფირმა, 9. კახი კალაძის კლუბი, 11. მძლეოსნობაში რბენის ერთ-ერთი პროგრამა, 12. სამხტომში 1928 წ. ოლიმპიური ჩემპიონი, 14. ცნობილი ვეტერანი უკრაინელი ფეხბურთელი, 15. ცნობილი თურქი ფეხბურთელი, 16. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 18. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, თამაშობდა 1962 წელს, 19. წინალობა სპრინტერულ დისტანციაზე, 20. სამხ. აფრიკელი ფეხბურთელი, 21. იუგოსლავიის საკალათბურთო კლუბი, 23. მეორე ქალაქი მოსკოვის შემდეგ, სადაც ჩატარდა 1980 წ. ოლიმპიური თამაშები, 24. ცნობილი ფრანგი ვეტერანი ფეხბურთელი, ამჟამად ფუნქციონერი.

**შვეულად:** 1. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი იბრაჰიმ... 2. ქართული ქიდაობის ჰანგში მუსიკალური ინსტრუმენტი, 4. ფრანგი ვეტერანი ჩოგბურთელი, 6. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ნაკრების წევრი, 7. ნიჩბოსნობის ინვენტარი, 8. ცურვის ყაიდა, 10. სიმაღლეზე ხტომაში ახალი სტილის ფუძემდებელი, 13. ცნობილი ვეტერანი რუსი მოთხილამურე (რბენებში) ქალი, 14. ცნობილი ნორვეგიელი ვეტერანი სამთომოთხილამურე, 16. პოლონეთის საფეხბ. კული, 17. რუსეთის საფეხბ. კლუბი, 18. ოლიმპიური თამაშების გახსნისას წარმოთქმული სიტყვა მონაწილეთა სახელით, 19. სპორტული პრიზი, 22. ცნობილი ნორვეგიელი ფეხბურთელი.

მოამზადა ნოდარ ჯაჯვაძემ

### №36 კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 5. ფორა, 7. უეფა, 9. ფილატოვი, 10. სო, 11. ჰაბიბი, 12. ტანდემი, 14. ემე, 17. ისელიძე, 18. ასტახოვა, 22. კუცი, 23. „რომა", 24. შარაბიძე, 25. შხარა, 26. ანთიძე, 27. „რეალი".

**შვეულად:** 1. ბექჰემი, 2. შაიბა, 3. ლინკე, 4. სანტოსი, 5. ფიდე, 6. როსი, 8. ჩიბურდანიძე, 13. ნიგერია, 15. ციურიხი, 16. „ოსკარი", 19. აკვრა, 20. „მარაო", 21. უშბა.

### საჭადრაკო ამოცანა

ვ. პიპა

(1980 წ.)



შამათი 2 სვლაში

№36-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ეb3! 1. .... მფ:d4 2. ეb4X, 1. .... მფf4 2. ლf3(g4)X, 1. .... მ--- 2. ლe5X,

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე